დანართი №2

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

1. აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
2. გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
3. ნიადაგისა და წყლის რესურსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
4. გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

2026 წლის 15 - 16 ივნისი

დასკვნის წარდგენის თარიღი
23.07.2026

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ........................................ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ................................................. 5

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი.............................. 17

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ................................................ 20

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.................................................................................................................... 20

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........................................................................................................ 48

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა....................................... 64

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........................................................................... 73

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.................................................... 100

### ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

### ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | აპოსტოლოს გიანისი, კრეტის ტექნიკური უნივერსიტეტი, საბერძნეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მამუკა ბენაშვილი, შპს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გულნაზი მაღრაძე, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | აკაკი ჩალათაშვილი, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად | აგროინჟინერია | გარემოსდაცვითი ინჟინერია | ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია | გარემოსდაცვითი ინჟინერია |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად | Agricultural Engineering | Environmental Engineering | Soil and Water Resources Engineering | Environmental Engineering |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში | გარემოსდაცვითი ინჟინერიის ბაკალავრი | ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში | I - გარემოსდაცვითი ინჟინერიის მაგისტრი<br><br>II - კვლევის მაგისტრი გარემოსდაცვით ინჟინერიაში |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებულ ი 0719 | გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712 | ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული 0719 | გარემოს დაცვის ტექნოლოგია 0712 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 241 | 185 | 241 | 60 + 60 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი | ახალი | ახალი | ახალი |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**

  სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასტერი მოიცავს აგროინჟინერიის, გარემოსდაცვითი ინჟინერიის და ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო და გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების მიზანია სტუდენტებს გადასცეს თეორიული ცოდნა და განუვითაროს პრაქტიკული კომპეტენციები აგროინჟინერიის და გარემოსდაცვითი აგროინჟინერიის სფეროებში. პროგრამები შემუშავდა მსგავს საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი ანალიზის და ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით. კლასტერში გაერთიანებული ოთხივე პროგრამა ახალია. პროგრამები შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და გაუმჯობესების მეთოდოლოგიის" შესაბამისად და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და აკადემიური მიმართულებით, სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. პროგრამების შექმნა ეხმიანება უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზანს, გააძლიეროს საინჟინრო განათლება და უპასუხოს საზოგადოებრივ და გარემოსდაცვით გამოწვევებს, ინტერდისციპლინური და კვლევაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 15 - 16 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში, ჩატარდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა თვითშეფასების ანგარიში, თანდართული დოკუმენტაცია, პროგრამები, სასწავლო კურსების სილაბუსები, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მტკიცებულებები და სტუდენტების შეფასების მასალები. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ინფრასტრუქტურა და ციფრული სწავლების პლატფორმები. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია პროგრამების მიზნების, საგანმანათლებლო პროცესების, რესურსების და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ, რაც შემდგომ გახდა შეფასების, რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველი.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან. პროგრამები ქმნიან საჭირო ინსტიტუციურ საფუძველს და აჩვენებენ უნივერსიტეტის მიდგომას, განავითაროს საინჟინრო განათლება. თუმცა, პროგრამები სრულად ვერ აკმაყოფილებენ თანამედროვე საინჟინრო განათლების მოთხოვნებს და მოლოდინებს. აკრედიტაციის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პროგრამების

სტრუქტურა, შინაარსი, განხორციელება და უწყვეტი განვითარება. საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერი მხარეებია: შესაბამისობა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის საჭიროებებთან და ქვეყანაში საინჟინრო განათლების გაძლიერების აუცილებლობასთან; ადეკვატური მმართველობის და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; კარგად განვითარებული და სტრუქტურირებული სტაჟირების პროგრამა და აკრედიტებული ლაბორატორია. ვინაიდან პროგრამები ახალია, საჭიროა შემდეგი მიმართულებების გაუმჯობესება: აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა თანამედროვე საერთაშორისო საინჟინრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან; სასწავლო გეგმების გადახედვა, რომ გაძლიერდეს საინჟინრო დიზაინთან, უახლეს ტექნოლოგიებთან და მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები; სტუდენტების ნაშრომების ხარისხის და კვლევითი მიმართულების გაძლიერება; საბიბლიოთეკო რესურსების გამრავალფეროვნება და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის და აღჭურვილობის განახლება.

- **კლასტერული რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია, გაძლიერდეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებში საინჟინრო მიმართულება და იდენტობა. რეკომენდებულია, პროგრამებს დაემატოს თანამედროვე საინჟინრო მიდგომები, მათ შორის მოდელირება და სიმულაცია, ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები და სხვა. (1.1)
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები, რომ უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა თანამედროვე საზოგადოებრივ საჭიროებებთან, საერთაშორისო საინჟინრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. (1.2)
3. რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სტრუქტურირებული შეფასების სისტემა - თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვროს შეფასების და ანგარიშგების მექანიზმები, შესრულების მკაფიო ინდიკატორები, დაინტერესებული მხარეების რეგულარული ჩართულობა, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პროგრამის განვითარებაში უკუკავშირის გათვალისწინების დოკუმენტირება. (1.3)
4. რეკომენდებულია, სისტემურად გადაიხედოს სასწავლო კურსების შინაარსი და ECTS კრედიტების განაწილება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას თანამედროვე ინჟინერიის სასწავლო გეგმებთან და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ისეთი მიმართულებების ინტეგრირება, როგორიცაა სისტემების პროექტირება, მოდელირება, მონაცემთა ანალიზი და ინოვაციები. ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ECTS კრედიტების განაწილება სრულად ასახავდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვას, სასწავლო კურსების სირთულესა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. (1.5)
5. რეკომენდებულია, სტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აქტივობებში, რაც გააძლიერებს მათ აკადემიურ ჩართულობას, კვლევით კომპეტენციებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. (2.2)
6. რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაუმჯობესების,

პრაქტიკული და ლაბორატორიული სწავლების შესაძლებლობების გაფართოების, ასევე, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის გზით, რაც მოიცავს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაძლიერებას და უცხოენოვანი კომპეტენციების განვითარების მიზნობრივ მხარდაჭერას. (3.1)

7. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პოტენციალი და გაიზარდოს სასწავლო პერსონალის რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის დაბალანსებულ განაწილებას და შეამცირებს აკადემიური პერსონალის გადაჭარბებულ დატვირთვას. რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის და პროგრამების გრძელვადიანი განვითარების და უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა დაიქირავოს ახალგაზრდა პროფესორები და კარიერული განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი აკადემიური პერსონალი. (4.1)
8. რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები სისტემატურად აისახოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყოველწლიურ გეგმაში, გამოვლენილი საჭიროებების, დაგეგმილი აქტივობების, პერსონალის ჩართულობის, გამოყოფილი რესურსების, განხორციელების შედეგების და შემდგომი ქმედებების მკაფიო მტკიცებულებით. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები აქტიურად იქნას გამოყენებული პროფესიული განვითარების და პერსონალის მხარდაჭერის მიზნით. (4.3)
9. რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამებში მითითებული ლაბორატორიებისა და ლექტორების სამუშაო სივრცეების ერთ ადგილას განთავსება. (4.4)
10. რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის შემუშავდეს დეტალური და თემატურად მიზნობრივი ბიუჯეტი. (4.5)
11. რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამული დოკუმენტაციის მოწესრიგება და ფორმალური დამტკიცება ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში და გააძლიეროს თვითშეფასების პროცესი, რომ სისტემატურად იქნას გამოვლენილი, გაანალიზებული და აღმოფხვრილი პროგრამის შინაარსთან, სასწავლო რესურსებთან, საკადრო პოლიტიკასთან, ინფრასტრუქტურასთან და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზები. (5.1)
12. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს მკაფიო მტკიცებულებები, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეთანხმებული თანამშრომლობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ და მდგრად გადაცემას და განხორციელებას. (5.1)
13. რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, უნივერსიტეტის სახელწოდების მითითებით და ოფიციალური ფორმატის გამოყენებით. (5.1)
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს განვითარებაზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გარე კოლეგიალური შეფასება. (5.2)

15. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით. (5.3)

**პროგრამა 1: აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. რეკომენდებულია, განვითარდეს აგროინჟინერებისთვის აუცილებელი დიზაინის, ანალიტიკის და ინოვაციის შესაძლებლობები. (1.1)
2. რეკომენდებულია, გადაიჭრას სოფლის მეურნეობაში არსებული რეალური გამოწვევები საინჟინრო პრინციპების გამოყენებით. (1.1)
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ აგროინჟინერიის განვითარებადი და ინტერდისციპლინური სფეროების, მათ შორის ნიადაგის ინჟინერიის, მცენარეთა მეცნიერების, კვების ინჟინერიის, აგრონომიული პრაქტიკის, ციფრული ტექნოლოგიების, ზუსტი აგრონომიის და მდგრადობის პრინციპების შესაბამისი ცოდნა, კომპეტენციები და პრაქტიკული უნარები. (1.2)
4. რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის გადახედვა საერთაშორისოდ აღიარებულ აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე; პროგრამის სამეცნიერო და საინჟინრო საფუძვლების გაძლიერება და სასწავლო გეგმაში ისეთი მიმართულებების ინტეგრირება, როგორიცაა ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ზუსტი სოფლის მეურნეობა, ციფრული ტექნოლოგიები, ავტომატიზაცია, მდგრადი განვითარება და საინჟინრო პროექტირება, რაც პროგრამას მეტად დააახლოებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთან, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება, თითოეული სემესტრი განისაზღვროს 30 ECTS კრედიტის ოდენობით, ხოლო დასკვნითი ნაშრომი წარმოდგენილი იყოს კვლევაზე დაფუძნებული პროექტის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციების განვითარებას. (1.4)
5. რეკომენდებულია, სასწავლო მასალებისა და სავალდებულო/ დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა ისინი მოიცავდეს თანამედროვე ინჟინერიის მიდგომებს, უახლეს ტექნოლოგიებს, საერთაშორისო აკადემიურ წყაროებსა და აგროინჟინერიის სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. (1.5)
6. რეკომენდებულია, პერსონალის განვითარების წლიური გეგმა მოიცავდეს პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია აგროინჟინერიასთან, სასოფლო - სამეურნეო ტექნიკასთან, მელიორაციულ სისტემებთან, პრაქტიკულ / საველე სწავლებასთან და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის შედეგების შეფასებასთან. (4.3)

**პროგრამა 2: გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. რეკომენდებულია გაძლიერდეს გარემოსდაცვითი სისტემების დიზაინის, ექსპლუატაციის და ოპტიმიზაციის კომპეტენციები. (1.1)
2. რეკომენდებულია, გაფართოვდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და მოიცვას გარემოსდაცვითი კატალიზი, მდგრადობის შეფასება და მოდელირება,

ცირკულარული ეკონომიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგია, მდგრადი შენობები და ენერგო სისტემები. (1.2)

3. რეკომენდებულია, გარემოსდაცვითი ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და მისი შედარებითი ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამებთან, პროგრამის საინჟინრო იდენტობის გაძლიერების მიზნით. ამასთან, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება, თითოეული სემესტრი განისაზღვროს 30 ECTS კრედიტის ოდენობით, ხოლო დასკვნითი ნაშრომი წარმოდგენილი იყოს კვლევაზე დაფუძნებული პროექტის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციების განვითარებას. (1.4)
4. რეკომენდებულია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების სირთულესთან, სირთულის დონესთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სემესტრის დატვირთვა უნდა შეადგენდეს 30 ECTS კრედიტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის უფრო დაბალანსებულ, თანმიმდევრულ და ინჟინერიაზე ორიენტირებულ სტრუქტურას. (1.5)
5. რეკომენდებულია, პერსონალის განვითარების გეგმა მოიცავდეს გარემოს მონიტორინგს, დაბინძურების კონტროლის ტექნოლოგიებს, ლაბორატორიული / პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, მიმდინარე გარემოსდაცვით რეგულაციებს და პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპეტენციების შეფასებას. (4.3)

**პროგრამა 3: ნიადაგისა და წყლის რესურსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. რეკომენდებულია, აქცენტი გაკეთდეს ნიადაგის და წყლის რესურსების ურთიერთკავშირზე, საინჟინრო პერსპექტივიდან. (1.1)
2. რეკომენდებულია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის განვითარების აქტივობების სისტემატური დოკუმენტირება, რომლებიც დაკავშირებულია ნიადაგმცოდნეობასთან, წყლის რესურსების მართვასთან, ჰიდროლოგიასთან, სარწყავ / სადრენაჟო სისტემებთან, ლაბორატორიულ მეთოდებთან და საწარმოო პრაქტიკულ სწავლებასთან. (4.3)

**პროგრამა 4: გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტი გაკეთდეს გარემოს ინჟინერიის მკაფიოდ გამოკვეთილ სპეციალიზაციაზე. (1.1)
2. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები სტრუქტურირებული იყოს თემატური მიმართულებების მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევები, მათ შორის, კლიმატის ცვლილება, მდგრადობა და სასიცოცხლო ციკლის ანალიზი, გარემოსდაცვითი შეფასება და მოდელირება და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა. (1.2)
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომ მკაფიო აკადემიური სპეციალიზაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება თანამედროვე გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი

ჩამოყალიბდეს როგორც მასშტაბური, დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პროგრამის სპეციალიზაციასთან. (1.4)

4. რეკომენდებულია, რომ სასწავლო გეგმა მეტად იყოს ორიენტირებული ისეთ სტრატეგიულ თემატურ მიმართულებებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილების შემცირება და მასთან ადაპტაცია, მდგრადობის შეფასება, ცირკულარული ეკონომიკა და დაბალნახშირბადიან საზოგადოებაზე გადასვლის პროცესები. (1.5)
5. რეკომენდებულია, სტუდენტებს მიეწოდოს მკაფიო, დეტალური და ინდივიდუალიზებული შეფასება, რომელიც ასახავს მათ პროგრესსა და მიღწევებს და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ რეკომენდაციებს მათი შემდგომი აკადემიური და კვლევითი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. (3.2)
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეარჩიოს მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები. (4.2)

7. რეკომენდებულია, მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა და კვლევით კომპონენტში ჩართულმა პერსონალმა გაიარონ მიზნობრივი პროფესიული ტრენინგი კვლევის ხელმძღვანელობის, კვლევის მეთოდოლოგიის, გამოქვეყნების ეთიკის, აკადემიური წერის, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის და გარემოს ინჟინერიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, იქედან გამომდინარე, რომ სტანდარტი მოითხოვს სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის ს მხარდაჭერას და საერთაშორისო პროექტებში, კვლევებში და კონფერენციებში მონაწილეობას. (4.3)

## რჩევები

### კლასტერული რჩევები

- სასურველია, პლაგიატის პრევენციის მექანიზმების, პროცედურებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპების შემუშავება და სისტემატური კომუნიკაცია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის რეგულარული საინფორმაციო და სასწავლო აქტივობების გზით. (2.4)
- სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის შემუშავდეს ყოველწლიური პერსონალის განვითარების მატრიცა, რომელიც თითოეული პროგრამის სწავლების, კვლევის და პრაქტიკული ტრენინგის საჭიროებებს დააკავშირებს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებთან, როგორიცაა ტრენინგები, სემინარები, კოლეგიალური დაკვირვება, კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევითი სემინარები, საერთაშორისო მობილობა, ელექტრონული სწავლების /ციფრული სწავლების ტრენინგი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. (4.3)
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა კლასტერულ პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გაიმართოს სისტემატური სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და სასწავლო აქტივობები, რათა ინსტიტუციური რეგულაციებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაცნობის ხელშეწყობით და პროგრამის დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერით, უსდ-ში განმტკიცდეს ხარისხის კულტურა. (5.1)

### პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, პროგრამის მიზნების შესაბამისობა სოფლის მეურნეობის სექტორის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. (1.1)

### პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, პროგრამის მიზნების შესაბამისობა გარემოსდაცვითი ინჟინერიის სექტორის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. (1.1)
- სასურველია, პერსონალი მეტად მონაწილეობდეს გარემოს დაცვის ტექნოლოგიებთან, ჩამდინარე წყლების/ ჰაერის დაბინძურების დამუშავების მეთოდებთან, ეკოლოგიურ მონიტორინგთან და ციფრულ/ ლაბორატორიულ სასწავლო ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სემინარებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში. (4.3)

### პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს წყლის აუზების მართვასთან, ჰიდროლოგიასთან, ჰიდროგეოლოგიასთან, გეოქიმიასთან და გეოტექნიკურ ინჟინერიასთან დაკავშირებული დამატებითი სწავლის შედეგები. (1.2)
- სასურველია, პროგრამის საინჟინრო და სისტემური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერება. ამისთვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ნიადაგისა და წყლის ურთიერთკავშირზე, წყალშემკრები აუზების მართვაზე, ჰიდროლოგიაზე, ჰიდროგეოლოგიაზე, გეოქიმიასა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი რესურსების მართვაზე. (1.4)
- სასურველია, ECTS კრედიტების განაწილების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. (1.5)
- სასურველია, პერსონალისათვის შეიქმნას პროგრამის სპეციფიკური პროფესიული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის თანამედროვე მეთოდებზე, პრაქტიკულ- საზედამხედველო მიდგომებზე, გამოყენებით კვლევასა და შესაბამის საჯარო/ კერძო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. (4.3)

### პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, სულ მცირე ყოველწლიური სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რომლებიც ითვალისწინებს ხელმძღვანელობის დაგეგმვას, უკუკავშირის პრაქტიკას, კვლევის

პროგრესის შეფასებას, პუბლიკაციის ხელმძღვანელობას, კვლევის ეთიკას და სტუდენტების ინტეგრაციას ადგილობრივ/ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში. (4.3)

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:**

**პროგრამა 1: აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი) - 31, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი - 29; აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 25/6; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - 25/25.

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები[2]; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები;

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.*

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.*

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

*არ არის ხელმისაწვდომი - პროგრამები ახალია .*

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

[2] სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

**პროგრამა 2: გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი) - 29, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი - 23; აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 18/11; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - 18/18.
- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები[3]; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.*

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.*

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

*არ არის ხელმისაწვდომი - პროგრამები ახალია.*

- **თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.**
*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

**პროგრამა 3: ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

- პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი) - 31, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი - 24; აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 24/7; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - 24/24.

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე

[3] სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები[4]; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე.*

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

*არ არის ხელმისაწვდომი - პროგრამები ახალია*

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

### პროგრამა 4: გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პერსონალი და ხელმძღვანელები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალი) - 16, მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი - 12; აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა - 9/7; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა - 9/9; მაგისტრანტებისა და / ან დოქტორანტების ხელმძღვანელების თანაფარდობა - 5/5.

- სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები[5]; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერეცნიებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები.

---

[4] სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

[5] სადოქტორო პროგრამის კლასტერში დაჯგუფების შემთხვევაში, მიეთითება განცალკევებული ანალიზის სახით.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.

*არ არის ხელმისაწვდომი - პროგრამები ახალია.*

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

*არ არის ხელმისაწვდომი წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე*

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[6]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება შპს „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის" არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებაზე და აღიარებს მის მზაობას სასწავლო პროგრამების უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების მიმართულებით. წარმოდგენილი განმარტებები და დამადასტურებელი მტკიცებულებები მიჩნეულია ადეკვატურად და აკრედიტაციის სტანდარტებთან თანმიმდევრულად, რაც მიუთითებს განვითარების სამომავლო პრიორიტეტების მკაფიო გააზრებაზე. საბოლოო დასკვნა უცვლელი რჩება, მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია და რჩევა.

[6]პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

**სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები** (იხ. ლინკი):

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი

აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა

შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:** კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

**კლასტერული შეფასება:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.
**ინდივიდუალური შეფასება:** საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. **პროგრამის ინდივიდუალური შეფასება** მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

## III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| № | დასახელება / სტანდარტი | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 |
|---|---|---|---|---|---|
| **1.** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** |
| 1.1 | პროგრამის მიზნები | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| 1.2 | პროგრამის სწავლის შედეგები | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| 1.3 | პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| 1.4 | საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| 1.5 | სასწავლო კურსი / საგანი | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **2.** | **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** |
| 2.1 | პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 2.2 | პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | | | | |
| 2.3 | სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია | შესაბამისობაშია |
| 2.4 | სტუდენტების შეფასება | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **3.** | **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** | **მეტწილად შესაბამისობაშია** |
| 3.1 | სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 3.2 | მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | - | - | - | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **4.** | **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია** |
| 4.1 | ადამიანური რესურსი | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 4.2 | მაგისტრანტის და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | არ ეხება | არ ეხება | არ ეხება | მეტწილად შესაბამისობაშია |
| 4.3 | აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | პროფესიული განვითარება | | | | |
| 4.4 | მატერიალური რესურსი | ნაწილობრივ შესაბამისობაში | ნაწილობრივ შესაბამისობაში | ნაწილობრივ შესაბამისობაში | ნაწილობრივ შესაბამისობაში |
| 4.5 | პროგრამის/ფაკულტეტის /სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში |
| **5** | **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | **მეტწილად შესაბამისობაში** | **მეტწილად შესაბამისობაში** | **მეტწილად შესაბამისობაში** | **მეტწილად შესაბამისობაში** |
| 5.1 | შიდა ხარისხის შეფასება | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში |
| 5.2 | გარე ხარისხის შეფასება | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში |
| 5.3 | პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში | მეტწილად შესაბამისობაში |

## IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა  რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან/და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და/ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევი თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია კლასტერში დაჯგუფებული სამი საბაკალავრო და ერთი სამაგისტრო პროგრამის მიზნების მოკლე მიმოხილვა. პროგრამების მიზნები მეტწილად პასუხობს საინჟინრო განათლების მიმდინარე საჭიროებებს. აგროინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა აქცენტს აკეთებს სამანქანო ტექნოლოგიებზე, გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა ფოკუსირებულია გარემოს დაცვაზე და მონიტორინგზე, ხოლო ნიადაგისა და წყლის ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ნიადაგის კონსერვაციასა და წყლის რესურსების მართვაზე. თუმცა, პროგრამებში საკმარისად არ არის წარმოდგენილი საინჟინრო მიმართულება. ვინაიდან პროგრამების განხორციელება დაგეგმილია საინჟინრო სკოლის ფარგლებში, ყურადღება მეტად უნდა გამახვილდეს საინჟინრო პრინციპების გამოყენებაზე, სისტემების დიზაინზე, ტექნოლოგიურ ინოვაციასა და ანალიტიკური პრობლემების გადაჭრაზე.
აღნიშნულ ეტაპზე, მიზნები უფრო მეტად ორიენტირებულია ცოდნის შეძენასა და საოპერაციო ასპექტებზე, ნაცვლად კომპლექსური საინჟინრო სისტემების დიზაინთან, ოპტიმიზაციასთან და მართვასთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარებაზე. პროგრამებში საინჟინრო მიმართულების გაძლიერება გააუმჯობესებს მათ თანმიმდევრულობას სკოლის ფარგლებში და უკეთესად მოამზადებს კურსდამთავრებულებს პროფესიული საქმიანობისთვის.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია სამანქანო ტექნოლოგიებსა და ტექნიკურ მომზადებაზე, თუმცა მიზნები არ ითვალისწინებს კურსდამთავრებულებში ფართო სამეცნიერო და საინჟინრო კომპეტენციების განვითარებას. პროგრამის მიზნებში საკმარისად არ არის წარმოდგენილი თანამედროვე აგროინჟინერიის რამდენიმე ძირითადი მიმართულება, მათ შორის ნიადაგმცოდნეობა და ინჟინერია, სასოფლო - სამეურნეო სისტემების დიზაინი, კვების ინჟინერია, აგრონომია და მოსავლის წარმოების სისტემები, ავტომატიზაცია, რობოტიკა და ზუსტი მიწათმოქმედება, ციფრული ტექნოლოგიები და ჭკვიანი მეურნეობის გადაწყვეტილებები.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია კურსდამთავრებულების მომზადებაზე საოპერაციო და სამეურნეო საქმიანობისთვის, ნაცვლად აგროინჟინრებისთვის აუცილებელი ანალიტიკის, დაპროექტების და ინოვაციის შესაძლებლობების განვითარებაზე. საერთაშორისო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან

შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის მიზნები ორიენტირებული უნდა იყოს რეალურ გარემოში არსებული სოფლის მეურნეობის გამოწვევების გადაწყვეტაზე, საინჟინრო მიდგომების გამოყენებით. აქცენტი უნდა გაკეთდეს მდგრად სასოფლო - სამეურნეო წარმოებაზე, ტექნოლოგიურ ინოვაციასა და სასოფლო - სამეურნეო სისტემებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე. აღნიშნული ცვლილებები გააძლიერებს პროგრამის, როგორც საინჟინრო დისციპლინის იდენტობას და მოამზადებს კურსდამთავრებულებს პროფესიული დასაქმებისთვის, კვლევითი საქმიანობისთვის, კონსულტირებისთვის და უწყვეტი განათლებისთვის.

**პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია გარემოს დაცვის და მონიტორინგის სფეროს ზოგად საფუძვლებზე. პროგრამა სათანადოდ ფარავს ისეთ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიურ მონიტორინგთან, დაბინძურების კონტროლთან და ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიებთან. თუმცა, გარემოსდაცვითი ინჟინერიის განათლების ძირითად კომპონენტად მიჩნეული რამდენიმე სფერო პროგრამაში არასაკმარისად არის წარმოდგენილი ან საერთოდ არ არის ასახული პროგრამის მიზნებში. აღნიშნული სფეროებია - ენერგეტიკული ინჟინერია და განახლებადი ენერგიის სისტემები, გამდინარე წყლების შეგროვება, გასუფთავება და სისტემების დიზაინი, ჰიდროლოგია და წყლის რესურსების ინჟინერია, გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, მდგრადი შენობები და ენერგოეფექტურობა, გარემოსდაცვითი კატალიზი, გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგია და ბიოპროცესების ინჟინერია, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება, გარემოსდაცვითი რისკის მოდელირება და სხვა.

საერთაშორისო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, პროგრამაში მეტად უნდა გამოიკვეთოს საინჟინრო მიმართულება და მიზნებში უნდა აისახოს კურსდამთავრებულების კომპეტენციების განვითარება გარემოსდაცვითი სისტემების დიზაინის, ექსპლუატაციისა და ოპტიმიზაციის სფეროებში, ასევე, სივრცითი ანალიზის ტექნიკური უნარების განვითარება.

**პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ზოგადად კარგად არის ფორმულირებული, განსაკუთრებით, ნიადაგის დაცვის, წყლის რესურსების მართვის და თანამედროვე ტექნოლოგიების აგროსამრეწველო სისტემებში გამოყენების თვალსაზრისით. თუმცა, პროგრამის მიზნებში საკმარისი აქცენტი არ კეთდება ნიადაგის და წყლის რესურსების ინტერდისციპლინურ ურთიერთკავშირზე.

სასწავლო გეგმის ცენტრალურ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს ნიადაგის თვისებების, ჰიდროლოგიური პროცესების და წყლის მართვის პრაქტიკის ურთიერთკავშირი.. სასწავლო გეგმაში რამდენიმე მიმართულება მეტად უნდა იყოს წარმოდგენილი, მათ შორის ჰიდროლოგიური ციკლი და მისი გამოყენება ნიადაგურ სისტემებში, ნიადაგის და წყლის ურთიერთქმედება და ვადოზური ზონის პროცესები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დინამიკა, ჰიდროგეოლოგია და წყალშემკრები აუზების მართვა, გეოქიმია და საკვები ნივთიერებების ციკლი, სარწყავი და სადრენაჟო სისტემების დიზაინი და ნიადაგის და წყლის სისტემების მოდელირება და მონიტორინგი.

სამეცნიერო და საინჟინრო გამოწვევებთან შესაბამისობის მიზნით, პროგრამამ მკაფიოდ უნდა შეუწყოს ხელი ნიადაგის და წყლის რესურსების მართვის ინტეგრირებულ მიდგომას. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ნიადაგის და წყლის სისტემების მარეგულირებელი ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ჰიდროლოგიური პროცესების გააზრებაზე და მათ მნიშვნელოვან როლზე მდგრად სასოფლო - სამეურნეო წარმოებასა და გარემოს დაცვაში.

**პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და ორიენტირებულია გარემოს დაცვაზე და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების შემუშავებასა და გამოყენებაზე. თუმცა, პროგრამის მიზნები ზოგადია და სპეციალიზაციის სფერო მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. პროგრამას ამჟამინდელ ვერსიას შესაძლებელია დაემატოს უფრო ფოკუსირებული, სტრატეგიული მიმართულება, რომელიც დაკავშირებული იქნება გლობალურ გამოწვევებთან, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში არსებულ მიღწევებთან. განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილების შემსუბუქება და მასთან ადაპტაცია, მდგრადობა, რესურსების ეფექტურობა და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/ რჩევები | რეკომენდებულია, გაძლიერდეს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებში საინჟინრო მიმართულება და იდენტობა. რეკომენდებულია, პროგრამებს დაემატოს თანამედროვე საინჟინრო მიდგომები, მათ შორის მოდელირება და სიმულაცია, ავტომატიზაცია, ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები და სხვა. | |
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | - რეკომენდებულია, განვითარდეს აგროინჟინერებისთვის აუცილებელი დიზაინის, ანალიტიკის და ინოვაციის შესაძლებლობები.<br>- რეკომენდებულია, გადაიჭრას სოფლის მეურნეობაში არსებული რეალური გამოწვევები საინჟინრო პრინციპების გამოყენებით. | - სასურველია, პროგრამის მიზნების შესაბამისობა სოფლის მეურნეობის სექტორის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | - რეკომენდებულია, გაძლიერდეს გარემოსდაცვითი სისტემების დიზაინის, ექსპლუატაციის და ოპტიმიზაციის კომპეტენციები. | - სასურველია, პროგრამის მიზნების შესაბამისობა გარემოსდაცვითი ინჟინერიის სექტორის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | - რეკომენდებულია, აქცენტი გაკეთდეს ნიადაგისა და წყლის რესურსების ურთიერთკავშირზე, საინჟინრო პერსპექტივიდან. | |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | - რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში აქცენტი გაკეთდეს გარემოს ინჟინერიის მკაფიოდ გამოკვეთილ სპეციალიზაციაზე. | |

**შეფასება** [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი<br>1.1 პროგრამის მიზნები | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს,
ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან / და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო - კვლევითი / შემოქმედებით - კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული / თეორიული ღირებულების მქონე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან და გამოვლენილია მნიშვნელოვანი ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამებში განსაზღვრულია მოსალოდნელი ცოდნა და უნარები, სწავლის შედეგებში საკმარისად არ არის ასახული საზოგადოების მიმდინარე საჭიროებები, ტექნოლოგიური მიღწევები ან შრომის ბაზრის ცვალებადი მოთხოვნები. მკაფიოდ არ არის ხაზგასმული სასოფლო - სამეურნეო, გარემოსდაცვითი და ნიადაგისა და წყლის ინჟინერიის პრაქტიკისთვის აუცილებელი თანამედროვე საინჟინრო კომპეტენციები.

სწავლის შედეგები უმეტესწილად ფოკუსირებულია ტექნიკურ და საოპერაციო უნარებზე და თავისი შინაარსით ჰგავს პროფესიული ან ტექნიკური განათლების სწავლის შედეგებს, უმაღლესი განათლების საინჟინრო პროგრამების სწავლის შედეგების ნაცვლად. შედეგად, ისინი ვერ უზრუნველყოფენ უფრო მაღალი დონის კომპეტენციების განვითარებას, როგორიცაა სისტემური აზროვნება, საინჟინრო დიზაინი, ინოვაცია, კრიტიკული ანალიზი, ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრა და განვითარებადი ტექნოლოგიების გამოყენება.

გარდა ამისა, სწავლის შედეგები არ არის თანხვედრაში საერთაშორისო საინჟინრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან ან წამყვან უნივერსიტეტებში განხორციელებულ ანალოგიურ პროგრამებთან. შესაბამისად, კურსდამთავრებულებს შეიძლება შეეზღუდოთ პროფესიული განვითარების, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობები, როგორც აკადემიურ, ისე საწარმოო გარემოში.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**პროგრამა 1 – აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სამანქანო ტექნოლოგიებსა და წყლის მართვის სისტემებზე. აღნიშნული სფეროები წარმოადგენენ აგროინჟინერიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, თუმცა სწავლის შედეგებში საკმარისად არ არის წარმოჩენილი თანამედროვე აგროინჟინერიის განათლების ინტერდისციპლინური ხასიათი. რამდენიმე არსებითი მიმართულება არასაკმარისად არის წარმოდგენილი ან საერთოდ არ არის გათვალისწინებული, მათ შორის ნიადაგის ინჟინერია, მცენარეთა და მოსავლის მეცნიერებები, კვების ინჟინერია, აგრონომიული პრაქტიკა, ზუსტი სოფლის მეურნეობა, ავტომატიზაცია, ციფრული ტექნოლოგიები და მდგრადობის პრინციპები.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში განხილულია სარწყავი და სადრენაჟო სისტემები, საკმარისად არ არის ხაზგასმული სისტემების საინჟინრო დიზაინი, მოდელირება, ოპტიმიზაცია და მართვა. სწავლის შედეგებში მკაფიოდ უნდა აისახოს კურსდამთავრებულების უნარი, გამოიყენონ ინჟინერიის პრინციპები სასოფლო - სამეურნეო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების დიზაინსა და ექსპლუატაციაში.

**პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად ორიენტირებულია ისეთ ფუნდამენტურ სფეროებზე, როგორიცაა გარემოს დაბინძურება, გასუფთავების ტექნოლოგიები, გარემოსდაცვითი ანალიზი, ეკოლოგია, კლიმატი და გარემოს მონიტორინგი. აღნიშნული თემები წარმოადგენენ გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამის საფუძველს, თუმცა სწავლის შედეგებში საკმარისად არ არის ასახული გარემოსდაცვითი ინჟინერიის მიმართულების სიღრმე და სირთულე.

პროგრამაში არ არის ასახული არსებითი საინჟინრო კომპეტენციები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსდაცვითი სისტემების დიზაინთან, მოდელირებასთან, ოპტიმიზაციასთან და მართვასთან. კერძოდ, სწავლის შედეგებში საკმარისად არ არის წარმოდგენილი კურსდამთავრებულების მიერ კომპლექსური გარემოსდაცვითი გამოწვევების გადასაჭრელად საინჟინრო პრინციპების და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების უნარი. გარდა ამისა, რამდენიმე განვითარებადი და საერთაშორისო დონეზე აქტუალური სფერო არასაკმარისად არის წარმოდგენილი ან საერთოდ არ არის ასახული, მათ შორის გარემოსდაცვითი კატალიზი, მდგრადობის შეფასება, ცირკულარული ეკონომიკა, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება და მასთან ადაპტაცია, გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგია, მდგრადი შენობები და ენერგო სისტემები.

სწავლის შედეგებით ასევე ვერ დასტურდება, რომ კურსდამთავრებულები განივითარებენ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის და ინოვაციის უნარებს, რომლებიც მოსალოდნელია თანამედროვე გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამების ფარგლებში.

**პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად ფოკუსირებულია ნიადაგმცოდნეობაზე, წყლის რესურსების მართვასა და აგროინჟინერიაზე. მთლიანობაში, სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფენ დისციპლინის საბაზისო ცოდნის საფუძველს. თუმცა, პროგრამაში უფრო მკაფიო აქცენტი უნდა გაკეთდეს ნიადაგისა და წყლის ინტეგრირებულ ურთიერთკავშირზე. თანამედროვე ნიადაგისა და წყლის ინჟინერია მოითხოვს სისტემურ მიდგომას, რომელიც მოიცავს და აღიარებს ნიადაგის თვისებების, ჰიდროლოგიური პროცესების, წყლის ხარისხის და მიწის მართვის პრაქტიკის კომპლექსურ ურთიერთკავშირს.

საჭიროა, სწავლის შედეგებში გამოიკვეთოს რამდენიმე მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა წყლის აუზების მართვა, ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, გეოქიმია და გეოტექნიკური ინჟინერია. ასევე, აქცენტი უნდა გაკეთდეს ინჟინერიის პრინციპების გამოყენებაზე ნიადაგისა და წყლის სისტემების ანალიზის, მოდელირების, დიზაინისა და მართვის დროს.

**პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მრავალფეროვანია და მოიცავს თემების ფართო სპექტრს, მათ შორის გარემოს დაბინძურებას, პროცესების შემუშავებას და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს. აღნიშნული მიდგომა სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს შეისწავლონ გარემოსდაცვითი ინჟინერიის სხვადასხვა სფერო, თუმცა სწავლის შედეგებს აკლია სამაგისტრო პროგრამისთვის დამახასიათებელი სპეციალიზაცია და ფოკუსირება.

სწავლის შედეგებში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული კურსდამთავრებულთა აკადემიური ან პროფესიული პროფილი, რამაც შესაძლოა შეზღუდოს პროგრამის განსხვავება საბაკალავრო ან ანალოგიური საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამებისგან. აქტუალობის და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, პროგრამაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თემატური პრიორიტეტები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საზოგადოებრივ და გარემოსდაცვით მიმდინარე გამოწვევებთან. მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე და მასთან ადაპტაციაზე, მდგრადობაზე, გარემოსდაცვით შეფასებასა და მოდელირებაზე, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული თანამედროვე კომპეტენციების განვითარებაზე. რეკომენდებულია, უცხო ენის კურსები ჩანაცვლდეს სხვა საგნებით, პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტად დაკავშირების მიზნით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები | რეკომენდებულია, გადაიხედოს კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგები, რომ უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა თანამედროვე საზოგადოებრივ საჭიროებებთან, საერთაშორისო საინჟინრო საგანმანათლებლო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. | |
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები, რომ კურსდამთავრებულებმა შეიძინონ აგროინჟინერიის განვითარებადი და ინტერდისციპლინური სფეროების, მათ შორის ნიადაგის ინჟინერიის, მცენარეთა მეცნიერების, კვების ინჟინერიის, აგრონომიული პრაქტიკის, ციფრული ტექნოლოგიების, ზუსტი აგრონომიის და მდგრადობის პრინციპების შესაბამისი ცოდნა, კომპეტენციები და პრაქტიკული უნარები. | |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, გაფართოვდეს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები და მოიცვას გარემოსდაცვითი კატალიზი, მდგრადობის შეფასება და მოდელირება, ცირკულარული ეკონომიკა, კლიმატის ცვლილება, გარემოსდაცვითი ბიოტექნოლოგია, | |

| | | |
|---|---|---|
| | მდგრადი შენობები და ენერგოსისტემები. | |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | | სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს წყლის აუზების მართვასთან, ჰიდროლოგიასთან, ჰიდროგეოლოგიასთან, გეოქიმიასთან და გეოტექნიკურ ინჟინერიასთან დაკავშირებული დამატებითი სწავლის შედეგები. |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები სტრუქტურირებული იყოს თემატური მიმართულებების მიხედვით, სადაც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი გამოწვევები, მათ შორის, კლიმატის ცვლილება, მდგრადობა და სასიცოცხლო ციკლის ანალიზი, გარემოსდაცვითი შეფასება და მოდელირება და ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა. | |

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| **კომპონენტი**<br>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| **პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| **პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| **პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ზოგადად მიღწევადია; განსაზღვრულია სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმები. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შეფასების ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის დასადგენად. აღნიშნული უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის გამჭვირვალობას და შეფასების პროცესის თანმიმდევრულობას. გარდა პირდაპირი შეფასების მეთოდებისა, ასევე, განსაზღვრულია არაპირდაპირი შეფასების მექანიზმებიც, რომლებიც მოიცავს პერსონალის / აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების (დაინტერესებული მხარეების) ჩართულობას. აღნიშნული მექანიზმების მიზანია პროგრამის ეფექტურობის, კურსდამთავრებულთა მზაობის და შრომის ბაზრის საჭიროებებთან სწავლის შედეგების შესაბამისობის შესახებ უკუკავშირის გავრცელება. თუმცა, ექსპერტებმა დაწესებულებისგან ვერ მიიღეს მტკიცებულებები აგროინჟინრებზე და გარემოსდაცვით ინჟინრებზე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ, წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეხებოდა მხოლოდ სოფლის მეურნეობის და ჰიდროლოგიის სექტორების ზოგად საჭიროებებს.

ტარდება დამსაქმებლების გამოკითხვები, რომ შეფასდეს კურსდამთავრებულთა დასაქმება, პროფესიული განვითარება და მათ მიერ შეძენილი კომპეტენციების შესაბამისობა დამსაქმებლების მოთხოვნებთან. დაინტერესებული მხარეები წარმოადგენენ უკუკავშირს და დაწესებულებას უზიარებენ პროფესიულ გამოცდილებას, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს პროგრამის შემდგომ განვითარებას. თუმცა, შეფასების პროცესს, პროგრამულ დონეზე აკლია სისტემური მიდგომა. გამოკითხვის შედეგები წარმოდგენილია ერთიანად კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისათვის და არა ინდივიდუალურად. აღნიშნული ართულებს თითოეული პროგრამის ძლიერი, სუსტი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენას.

გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამები შედარებით ახალია, შესაბამისად, მტკიცებულებები კურსდამთავრებულების გამოკითხვების შედეგების შესახებ ნაწილობრივ შეზღუდულია. დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ფარგლებში, გამოიკვეთა კომპეტენციების ხარვეზები და გამოვლინდა შრომის ბაზრის საჭიროებები. ასევე, არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ უკუკავშირის ანალიზი

და მიგნებები სისტემურად გამოიყენება სასწავლო გეგმის დახვეწის ან პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვები აჩვენებს, მათ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და არიან კომპეტენტურები შრომის ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხვის შედეგები დადებითია, შეზღუდულად არის წარმოდგენილი პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია - არ არის წარმოდგენილი კონკრეტული რეკომენდაციები სასწავლო გეგმის განვითარების და უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, მათი წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში შეზღუდულია.

ანალოგიურად, აკადემიური პერსონალი აქტიურად მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში, განხორციელებასა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაში. თუმცა, აკადემიური პერსონალის უკუკავშირი წარმოდგენილია მხოლოდ კლასტერის დონეზე, რაც ართულებს ინდივიდუალური პროგრამების ეფექტურობის და აქტუალობის შეფასებას.

არსებული შეფასების მექანიზმები უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საბაზისო ჩარჩოს. დაინტერესებული მხარეების გამოკითხვების და უკუკავშირის მეშვეობით შეგროვებული მტკიცებულებები არ არის დეტალური, არ უკავშირდება პროგრამას და არ არის სისტემურად გაანალიზებული, რაც აფერხებს ხარისხის უზრუნველყოფას და უწყვეტ გაუმჯობესებას. რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სტრუქტურირებული შეფასების სისტემა - თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვროს შეფასების და ანგარიშგების მექანიზმები, შესრულების მკაფიო ინდიკატორები, დაინტერესებული მხარეების რეგულარული ჩართულობა, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პროგრამის განვითარებაში უკუკავშირის გათვალისწინების დოკუმენტირება.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

იხილეთ კლასტერული შეფასება

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის განვითარების მექანიზმები შესაბამის კითხვარებთან ერთად;
- 13. შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებების შედეგების ანალიზი.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები | რეკომენდებულია, ჩამოყალიბდეს სტრუქტურირებული შეფასების სისტემა - თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვროს შეფასების და ანგარიშგების მექანიზმები, შესრულების მკაფიო ინდიკატორები, დაინტერესებული მხარეების რეგულარული ჩართულობა, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პროგრამის განვითარებაში უკუკავშირის გათვალისწინების დოკუმენტირება. | |
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | | |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | | |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | | |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | | |

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის

სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა, მაგალითად: კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

## კლასტერული შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი წესების შესაბამისად. თითოეული პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მოთხოვნებს. მისანიჭებელი კვალიფიკაციები შესაბამისობაშია პროგრამების შინაარსთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თუმცა, გამოვლინდა რამდენიმე შეუსაბამობა საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურასთან, სასწავლო

კომპონენტების განაწილებასა და ECTS კრედიტების გადანაწილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები აკმაყოფილებს ეროვნულ მოთხოვნებს, საინჟინრო სასწავლო კურსებს, სპეციალობის სასწავლო კურსებს, არჩევით მოდულებსა და პრაქტიკულ მომზადებას შორის ბალანსი სრულად არ ასახავს საინჟინრო განათლების თანამედროვე ტენდენციებსა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

სასწავლო კომპონენტებს შორის ECTS კრედიტების განაწილება სრულად არ შეესაბამება შესაბამისი სასწავლო კურსების სირთულეს, სასწავლო დატვირთვას და მნიშვნელობას. ცალკეულ შემთხვევებში სასწავლო გეგმის სტრუქტურა არ არის საკმარისად თანმიმდევრული და სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს რთული საინჟინრო კომპეტენციების ეტაპობრივ განვითარებას. შესაბამისად, რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის სტრუქტურის, სასწავლო კომპონენტებისა და ECTS კრედიტების განაწილების კომპლექსური გადახედვა, თანამედროვე საინჟინრო პროგრამებთან, საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკასთან და საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან დაახლოების მიზნით. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს უცხო ენის სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი კრედიტების გადანაწილებას ტექნიკური მიმართულების სხვა სასწავლო კურსებზე, როგორც ეს 1.2 სტანდარტის შეფასებაშია აღწერილი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**პროგრამა 1 – აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში გამოვლინდა გასაუმჯობესებელი მიმართულება, კერძოდ, პროგრამა მეტად აქცენტირებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან დაკავშირებულ სასწავლო კურსებზე. სასწავლო გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამა, სავარაუდოდ, ჩამოყალიბებულია ყოფილი ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე და დღემდე ითვალისწინებს პროფესიული ან ტექნიკური განათლებისათვის დამახასიათებელ მრავალ მახასიათებელს, ვიდრე თანამედროვე საუნივერსიტეტო საინჟინრო პროგრამის სტანდარტებს. სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი ორიენტირებულია სასოფლო - სამეურნეო საქმიანობის ოპერაციულ ასპექტებსა და ფერმერთა მომზადებაზე და არასაკმარისი ყურადღება ეთმობა იმ სამეცნიერო, ანალიტიკურ და საინჟინრო კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც აგრარული ინჟინერისთვის არის აუცილებელი. პროგრამა ვერ მოამზადებს ისეთ კურსდამთავრებულებს, რომლებიც შეძლებენ კომპლექსური აგრარული გამოწვევების გადაჭრას საინჟინრო პროექტირების, ინოვაციების დანერგვისა და ტექნოლოგიების განვითარების გზით.

სასწავლო გეგმა საჭიროებს გადახედვასა და შედარებით ანალიზს, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ აგრარული ინჟინერიის პროგრამებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამის საინჟინრო და სამეცნიერო საფუძვლების გაძლიერებას, ასევე, მათ

შესაბამისობას თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ამასთან, დამატებით გადასახედია სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება. თითოეული სემესტრი თანმიმდევრულად უნდა მოიცავდეს 30 ECTS კრედიტს, ხოლო დასკვნითი ნაშრომი მკაფიოდ უნდა აისახოს ECTS კრედიტების განაწილებაში. დასკვნითი ნაშრომი უნდა იყოს დამოუკიდებელი, კვლევაზე დაფუძნებული პროექტი, რომელიც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას წარმოაჩინონ ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მნიშვნელოვანი კომპონენტია სასოფლო - სამეურნეო გარემოში პრაქტიკული სწავლება, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ლაბორატორიულ სწავლებას, კვლევით საქმიანობასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ ექსპერიმენტულ სამუშაოებში, საინჟინრო საპროექტო საქმიანობასა და გამოყენებით კვლევებში, რაც ხელს შეუწყობს მათი პრობლემების გადაჭრის უნარებისა და სამეცნიერო აზროვნების განვითარებას.

პროგრამა საჭიროებს სასწავლო გეგმის გადახედვას, რათა გარდაიქმნას უპირატესად ტექნიკურ და პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებული სასწავლო გეგმიდან თანამედროვე აგრარული ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამად, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და საინჟინრო განათლების თანამედროვე პრინციპებს.

**პროგრამა 2 – გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია სამწლიანი (ექვსსემესტრიანი) პროგრამის სახით, რომლის საერთო მოცულობა 185 ECTS კრედიტს შეადგენს. პროგრამა მოიცავს გარემოსდაცვით მეცნიერებებთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ საკითხებს, თუმცა გარემოსდაცვითი ინჟინერიის თვალსაზრისით, შეინიშნება მნიშვნელოვანი გასაუმჯობესებელი მიმართულებები. არსებული სასწავლო გეგმა ძირითადად ორიენტირებულია გარემოსდაცვითი მეცნიერებების, ეკოლოგიის, გარემოს მონიტორინგისა და დაბინძურებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებაზე და არასაკმარისი ყურადღება ეთმობა საინჟინრო პრინციპებს, სისტემების პროექტირებას, პროცესების ოპტიმიზაციას, მოდელირებასა და ტექნოლოგიურ ინოვაციებს. შედეგად, პროგრამა სათანადოდ ვერ ასახავს იმ პროფილსა და კომპეტენციებს, რომლებიც თანამედროვე გარემოსდაცვითი ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მოეთხოვება.

სასწავლო გეგმა საჭიროებს კომპლექსურ გადახედვასა და შედარებით ანალიზს, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამის საინჟინრო და სამეცნიერო საფუძვლების გაძლიერებას, ასევე, მის შესაბამისობაში მოყვანას თანამედროვე

ტექნოლოგიურ განვითარებასთან, მდგრადი განვითარების გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სასწავლო გეგმას უნდა დაემატოს საინჟინრო მიმართულების სასწავლო კურსები ისეთ სფეროებში, როგორიცაა: წყლისა და ჩამდინარე წყლების ინჟინერია, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლის ინჟინერია, მყარი და სახიფათო ნარჩენების ინჟინერია, გარემოსდაცვითი პროცესების პროექტირება და მოდელირება, გარემოსდაცვითი კატალიზი და მოწინავე გამწმენდი ტექნოლოგიები, მდგრადი ენერგეტიკა და გარემოსდაცვითი სისტემები, გარემოზე ზემოქმედებისა და მდგრადობის შეფასება და სხვა. ამასთან, საჭიროა, ECTS კრედიტების განაწილების გადახედვა, რათა იგი შეესაბამებოდეს საერთაშორისო უმაღლესი განათლების პრაქტიკას. თითოეული სემესტრი უნდა შეადგენდეს 30 ECTS კრედიტს, ხოლო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლის შედეგების თანმიმდევრული პროგრესია.

დასკვნითი ნაშრომი ფორმალურად უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო გეგმაში და წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი, კვლევაზე დაფუძნებული პროექტის სახით, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს წარმოაჩინონ ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციები. გარდა ამისა, სტუდენტებს უნდა მიეცეთ უფრო ფართო შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ ლაბორატორიულ სამუშაოებში, საინჟინრო საპროექტო საქმიანობაში, საველე კვლევებსა და გამოყენებით კვლევით აქტივობებში, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო ცოდნის გაღრმავებასა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას. პროგრამა საჭიროებს სასწავლო გეგმის არსებით მოდერნიზაციას, რათა ჩამოყალიბდეს მისი მკაფიო საინჟინრო იდენტობა და უზრუნველყოს კურსდამთავრებულები იმ ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით, რაც მოეთხოვებათ თანამედროვე გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამების კურსდამთავრებულებს საერთაშორისო აღიარების მქონე უნივერსიტეტებში.

**პროგრამა 3 – ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ოთხწლიან (რვასემესტრიან) პროგრამას და, საერთო ჯამში, ხასიათდება თანმიმდევრული და კარგად ორგანიზებული სასწავლო გეგმით. პროგრამა უზრუნველყოფს მყარ საფუძველს ნიადაგმცოდნეობის, წყლის რესურსების მართვისა და აგროინჟინერიის მიმართულებით და, კლასტერში დაჯგუფებულ სხვა პროგრამებთან შედარებით, მეტად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შინაარსის შესაბამისობას.

მიუხედავად ამისა, პროგრამა საჭიროებს შემდგომ დახვეწას რამდენიმე მიმართულებით. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნიადაგისა და წყლის ურთიერთკავშირს, რაც თანამედროვე ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის ერთ - ერთ ფუნდამენტურ კონცეფციას წარმოადგენს. თანამედროვე მიდგომები სულ უფრო მეტად ეფუძნება სისტემურ ხედვას, რომელიც აღიარებს ნიადაგის თვისებებს, ჰიდროლოგიურ პროცესებს, წყლის ხარისხს,

კლიმატურ პირობებსა და მიწის მართვის პრაქტიკებს შორის არსებულ კომპლექსურ ურთიერთქმედებას. აღნიშნული ურთიერთკავშირები უფრო მკაფიოდ უნდა აისახოს სასწავლო გეგმაში და განხორციელდეს შესაბამისი სასწავლო კურსებითა და პრაქტიკული კომპონენტებით. პროგრამა ასევე შესაძლებელია გაძლიერდეს ისეთი მიმართულებების დამატებით, როგორიცაა წყალშემკრები აუზების მართვა, ჰიდროლოგია, ჰიდროგეოლოგია, გეოქიმია, გეოტექნიკური ინჟინერია, წყლის რესურსების მოდელირება და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი რესურსების მართვა. აღნიშნული კომპონენტების დამატება კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამის საინჟინრო მიმართულებას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო ტენდენციებთან.

სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება საჭიროებს დამატებით გადახედვას. თითოეული სემესტრი თანმიმდევრულად უნდა მოიცავდეს 30 ECTS კრედიტს, ხოლო დასკვნითი ნაშრომი უნდა იყოს ინტეგრირებული პროგრამის ECTS კრედიტების საერთო განაწილებაში. დასკვნითი ნაშრომი უნდა იყოს დამოუკიდებელი, კვლევაზე დაფუძნებული პროექტი, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს წარმოაჩინონ ანალიტიკური, ექსპერიმენტული, მოდელირებისა და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციები. მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო- სამეურნეო და გარემოსდაცვით გარემოში განხორციელებული პრაქტიკული სწავლება პროგრამის ერთ - ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარეს წარმოადგენს, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ლაბორატორიულ სწავლებას, კვლევით საქმიანობასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას. სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა ჩაატარონ ექსპერიმენტული სამუშაოები, გააანალიზონ რეალური საინჟინრო პრობლემები და მონაწილეობა მიიღონ გამოყენებით კვლევით პროექტებში, რაც ხელს შეუწყობს მათი სამეცნიერო ცოდნის, ტექნიკური უნარებისა და პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების გაძლიერებას.

**პროგრამა 4 – გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**
გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ორწლიან პროგრამას (ოთხი სემესტრი, 120 ECTS კრედიტი) და მოიცავს გარემოსდაცვით მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს. პროგრამას არ გააჩნია მკაფიო სპეციალიზაცია და სტრატეგიული ფოკუსი, რაც თანამედროვე სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი არსებითი მახასიათებელია. არსებული სახით, სასწავლო გეგმა აერთიანებს გარემოსდაცვითი მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებას, თუმცა არ აქვს გამოკვეთილი აკადემიური პროფილი ან თემატური სიღრმე. . შედეგად, წარმოდგენილი პროგრამა საკმარისად არ განსხვავდება საბაკალავრო საფეხურის სწავლებისგან და ვერ უზრუნველყოფს იმ სიღრმისეულ ცოდნასა და ექსპერტიზას, რომელიც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს მოეთხოვება. . ამასთანავე, სასწავლო გეგმაში უცხო ენის სასწავლო კურსების არსებობა არ შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს, სადაც ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს დარგობრივი მიმართულებით ცოდნის

გაღრმავებაზე, კვლევით კომპეტენციებსა და სპეციალიზებულ ტექნიკურ უნარებზე. პროგრამის აქტუალურობისა და კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად, იგი უნდა გადაიხედოს და ჩამოყალიბდეს თანამედროვე გლობალური გამოწვევებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატის ცვლილების შემცირების საკითხებს, მდგრადობის შეფასებასა და ცირკულარულ და დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლის პროცესებს.

პროგრამაში ასევე უნდა გაძლიერდეს კვლევაზე ორიენტირებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ინტერდისციპლინური პრობლემების გადაჭრის მიდგომები. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოყენებითი კვლევითი პროექტების, შემთხვევების ანალიზისა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობის გზით, იმუშაონ რეალურ გარემოსდაცვით გამოწვევებზე. გარდა ამისა, სამაგისტრო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მასშტაბურ, დამოუკიდებელ კვლევით პროექტს, რომელიც წარმოაჩენს სტუდენტის მაღალ დონეზე განვითარებულ ანალიტიკურ, სამეცნიერო და საინჟინრო კომპეტენციებს. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს პროგრამის სპეციალიზაციის მიმართულებებსა და გარემოსდაცვითი სფეროს აქტუალურ გამოწვევებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- საგანმანათლებლო პროგრამები:
- აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | | |

| | | |
|---|---|---|
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, სასწავლო გეგმის გადახედვა საერთაშორისოდ აღიარებულ აგროინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე; პროგრამის სამეცნიერო და საინჟინრო საფუძვლების გაძლიერება და სასწავლო გეგმაში ისეთი მიმართულებების ინტეგრირება, როგორიცაა ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ზუსტი სოფლის მეურნეობა, ციფრული ტექნოლოგიები, ავტომატიზაცია, მდგრადი განვითარება და საინჟინრო პროექტირება, რაც პროგრამას მეტად დააახლოებს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. ამასთან, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება, თითოეული სემესტრი განისაზღვროს 30 ECTS კრედიტის ოდენობით, ხოლო დასკვნითი ნაშრომი წარმოდგენილი იყოს კვლევაზე დაფუძნებული პროექტის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო პროექტირების კომპეტენციების განვითარებას. | |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, გარემოსდაცვითი ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და მისი შედარებითი ანალიზი საერთაშორისოდ აღიარებულ გარემოსდაცვითი ინჟინერიის პროგრამებთან, პროგრამის საინჟინრო იდენტობის გაძლიერების მიზნით. ამასთან, რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო გეგმის სტრუქტურა და ECTS კრედიტების განაწილება, თითოეული სემესტრი განისაზღვროს 30 ECTS კრედიტის ოდენობით, ხოლო დასკვნითი ნაშრომი წარმოდგენილი იყოს კვლევაზე დაფუძნებული პროექტის სახით, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში ანალიტიკური, ექსპერიმენტული და საინჟინრო | |

| | | |
|---|---|---|
| | პროექტირების კომპეტენციების განვითარებას. | |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | | სასურველია, პროგრამის საინჟინრო და სისტემური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერება. ამისთვის, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ნიადაგისა და წყლის ურთიერთკავშირზე, წყალშემკრები აუზების მართვაზე, ჰიდროლოგიაზე, ჰიდროგეოლოგიაზე, გეოქიმიასა და კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადი რესურსების მართვაზე. |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, გადაიხედოს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომ მკაფიო აკადემიური სპეციალიზაცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება თანამედროვე გლობალურ გარემოსდაცვით გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. რეკომენდებულია, რომ სამაგისტრო ნაშრომი ჩამოყალიბდეს როგორც მასშტაბური, დამოუკიდებელი კვლევითი პროექტი, რომელიც მჭიდროდ იქნება დაკავშირებული პროგრამის სპეციალიზაციასთან. | |

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შეფასება |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერის შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

სასწავლო კურსების შინაარსი და მიღწეული სწავლის შედეგები, ზოგადად, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეებს, რაც შესაბამისობაშია კლასტერში დაჯგუფებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებთან. სასწავლო კურსების სილაბუსები კარგად არის სტრუქტურირებული და მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას, მათ შორის სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალის, კურსის მიზნების, დაგეგმილი სწავლის შედეგების, ECTS კრედიტების, სტუდენტის დატვირთვის ანალიზის, სალექციო თემატიკის, სწავლების მეთოდებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ. დოკუმენტაცია მკაფიო, გამჭვირვალე და სათანადოდ არის შემუშავებული, ასევე, სილაბუსების ფორმატთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ხარვეზები არ გამოვლენილა.

თუმცა, რამდენიმე სასწავლო კურსის შინაარსი საჭიროებს განახლებას, რათა უკეთ ასახოს თანამედროვე საგანმანათლებლო განვითარება, ტექნოლოგიური პროგრესი და შრომის ბაზრის მოთხოვნები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანამედროვე ინჟინერიის მიდგომების ინტეგრირებას, მათ შორის სისტემების პროექტირებას, მოდელირებას, ციფრულ ტექნოლოგიებს, ავტომატიზაციას, მონაცემთა ანალიზსა და ინოვაციებს, რაც ხელს შეუწყობს სკოლისა და მისი საგანმანათლებლო პროგრამების საინჟინრო იდენტობის უფრო მკაფიო წარმოჩენასა და გაძლიერებას.

ამასთანავე, სასურველია გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების სირთულესთან, სირთულის დონესთან, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. სასწავლო კურსების შინაარსის, სტუდენტთა დატვირთვისა და ECTS კრედიტების განაწილების უფრო სისტემური შესაბამისობა კიდევ უფრო გააძლიერებს საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულობასა და ხარისხს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური რეგულაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. სილაბუსები, ზოგადად, კარგად არის სტრუქტურირებული, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმილი სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სათანადოდ აღწერილი. თუმცა, სასწავლო გეგმა საჭიროებს შემდგომ გადახედვას, რათა უკეთ ასახოს აგროინჟინერიის დარგში არსებული თანამედროვე ტენდენციები და საუნივერსიტეტო დონის ინჟინერიის პროგრამისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინჟინერიის მიმართულების სასწავლო კურსებსა და დისციპლინებს, რომლებიც მოიცავს აგრარულ სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და აქტუალურ გამოწვევებს. ამასთანავე, სასურველია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების სირთულესთან, სირთულის დონესთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. შესაძლოა საჭირო გახდეს ცალკეული სასწავლო კურსების კორექტირება, რათა სასწავლო გეგმის სტრუქტურა უფრო დაბალანსებული და თანმიმდევრული გახდეს.

ასევე, რეკომენდებულია, სასწავლო მასალებისა და სავალდებულო/ დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა ისინი მოიცავდეს თანამედროვე ინჟინერიის მიდგომებს, უახლეს ტექნოლოგიებს, საერთაშორისო აკადემიურ წყაროებსა და აგროინჟინერიის სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. აღნიშნული ცვლილებები გააძლიერებს პროგრამის საინჟინრო ხასიათს და ხელს შეუწყობს მის შესაბამისობას საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებსა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

**პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**
საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური რეგულაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. სილაბუსები, ზოგადად, კარგად არის სტრუქტურირებული, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმილი სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სათანადოდ აღწერილი. თუმცა, სასწავლო გეგმა საჭიროებს არსებითი მოდერნიზებას, რათა უკეთ ასახოს გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში მიმდინარე თანამედროვე განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინჟინერიის მიმართულების სასწავლო კურსებსა და დისციპლინებს, რომლებიც პასუხობს თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებსა და გარემოსდაცვით სფეროში წარმოქმნილ ახალ გამოწვევებს. კერძოდ, სასწავლო გეგმაში უნდა გაძლიერდეს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა გარემოსდაცვითი სისტემების პროექტირება, პროცესების მოდელირება, წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების ინჟინერია, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კონტროლის ინჟინერია, გარემოსდაცვითი კატალიზი, მდგრადობის შეფასება, კლიმატის ცვლილების შემცირების ღონისძიებები, ცირკულარული ეკონომიკა და მდგრადი ენერგო სისტემები.

ამასთანავე, სასურველია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების

სირთულესთან, სირთულის დონესთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. შესაძლოა საჭირო გახდეს ცალკეული სასწავლო კურსების კორექტირება, რათა სასწავლო გეგმის სტრუქტურა უფრო დაბალანსებული, თანმიმდევრული და ინჟინერიაზე ორიენტირებული გახდეს. ასევე, რეკომენდებულია, სასწავლო მასალებისა და სავალდებულო/ დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა ისინი მოიცავდეს თანამედროვე ინჟინერიის მიდგომებს, უახლეს ტექნოლოგიებს, საერთაშორისო აკადემიურ წყაროებს, დარგის შემთხვევების ანალიზსა და გარემოსდაცვითი ინჟინერიის სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს.

**პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური რეგულაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. სილაბუსები, ზოგადად, კარგად არის სტრუქტურირებული, ხოლო თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმილი სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სათანადოდ აღწერილი. პროგრამას აქვს თანმიმდევრული სასწავლო გეგმა, სადაც დაბალანსებულია ნიადაგმცოდნეობის, წყლის რესურსების მართვისა და ინჟინერიის სასწავლო კომპონენტები. მიუხედავად ამისა, შეიძლება პროგრამის კიდევ უფრო გაუმჯობესება, რათა მასში უკეთ აისახოს ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის სფეროში არსებული თანამედროვე მიღწევები. კერძოდ, სასწავლო გეგმაში მეტი ყურადღება შეიძლება დაეთმოს ნიადაგისა და წყლის სისტემების ინტეგრირებულ მართვას, ჰიდროლოგიურ პროცესებს, წყალშემკრები აუზების მართვას, ჰიდროგეოლოგიას, გეოქიმიას, კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადობის საკითხებს, აგრეთვე, თანამედროვე ინჟინერიის ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების გამოყენებას.

სასურველია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების სირთულესთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. ცალკეულ სასწავლო კურსებში განხორციელებული მცირე კორექტირება კიდევ უფრო გააძლიერებს სასწავლო გეგმის თანმიმდევრულობას და ლოგიკურ პროგრესიას.

**პროგრამა 4 – გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები შემუშავებულია უნივერსიტეტის აკადემიური რეგულაციებისა და მოთხოვნების შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსის დაგეგმილი სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სათანადოდ აღწერილი. პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს გარემოსდაცვითი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ფართო ცოდნას, ხოლო სწავლებისა და შეფასების მეთოდები შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. მიუხედავად ამისა, სასწავლო გეგმა საჭიროებს უფრო მკაფიო თემატურ ორიენტაციას და სპეციალიზაციის უფრო მაღალ ხარისხს, რაც თანამედროვე სამაგისტრო პროგრამის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი

მახასიათებელია. პროგრამა მოიცავს გარემოსდაცვითი სფეროს მრავალფეროვან საკითხებს, თუმცა არ გამოირჩევა იმ მკაფიო აკადემიური პროფილით ან სპეციალიზაციის მიმართულებით, რომელიც მას მკაფიოდ განასხვავებდა საბაკალავრო საფეხურის პროგრამებისგან.

პროგრამის იდენტობისა და აქტუალობის გასაძლიერებლად სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე გარემოსდაცვით გამოწვევებსა და სამომავლო განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს. კერძოდ, სასწავლო გეგმაში შეიძლება მეტად განვითარდეს ისეთი თემები, როგორიცაა კლიმატის ცვლილების შემცირება, მდგრადობის შეფასება, ცირკულარული ეკონომიკა და დაბალნახშირბადიან საზოგადოებაზე გადასვლის პროცესები. აღნიშნული მიმართულებები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს როგორც გარემოსდაცვითი ინჟინერიის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, ისე თანამედროვე შრომის ბაზარზე. სასურველია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სასწავლო კურსების სირთულესთან, სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან და იმ მაღალ აკადემიურ დონესთან, რომელსაც სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს. გარდა ამისა, რეკომენდებულია სასწავლო მასალებისა და სავალდებულო/ დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა ისინი მოიცავდეს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს და საერთაშორისო პრაქტიკას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- საგანმანათლებლო პროგრამები:
- აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ებ)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | რეკომენდებულია, სისტემურად გადაიხედოს სასწავლო კურსების შინაარსი და ECTS კრედიტების | |

| | | |
|---|---|---|
| | განაწილება, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას თანამედროვე ინჟინერიის სასწავლო გეგმებთან და საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. რეკომენდებულია, გაძლიერდეს ისეთი მიმართულებების ინტეგრირება, როგორიცაა სისტემების პროექტირება, მოდელირება, მონაცემთა ანალიზი და ინოვაციები. ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ECTS კრედიტების განაწილება სრულად ასახავდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვას, სასწავლო კურსების სირთულესა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | რეკომენდებულია, სასწავლო მასალებისა და სავალდებულო/ დამხმარე ლიტერატურის განახლება, რათა ისინი მოიცავდეს თანამედროვე ინჟინერიის მიდგომებს, უახლეს ტექნოლოგიებს, საერთაშორისო აკადემიურ წყაროებსა და აგროინჟინერიის სფეროში არსებულ თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | რეკომენდებულია, გადაიხედოს ECTS კრედიტების განაწილება, რათა იგი სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სტუდენტთა რეალურ დატვირთვასთან, სასწავლო კურსების სირთულესთან, სირთულის დონესთან და განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. თითოეული სემესტრის დატვირთვა უნდა შეადგენდეს 30 ECTS კრედიტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის უფრო დაბალანსებულ, თანმიმდევრულ და ინჟინერიაზე ორიენტირებულ სტრუქტურას. | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | სასურველია, ECTS კრედიტების განაწილების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. |

| | | |
|---|---|---|
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | რეკომენდებულია, რომ სასწავლო გეგმა მეტად იყოს ორიენტირებული ისეთ სტრატეგიულ თემატურ მიმართულებებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილების შემცირება და მასთან ადაპტაცია, მდგრადობის შეფასება, ცირკულარული ეკონომიკა და დაბალნახშირბადიან საზოგადოებაზე გადასვლის პროცესები. | |

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი | შეფასება |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4 (დასახელება, დონე)** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ - ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროა, მოიცავს ინფორმაციას პროგრამის, მიღების ვადების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, ინფორმაციას ხელმძღვანელების კვლევითი ინტერესების და დოქტორანტების მიერ კვლევის განხორციელებისათვის მხარდამჭერი და წახალისების მექანიზმების და სხვა ასპექტების შესახებ;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიიღება კანდიდატების გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისას მხედველობაში მიიღება ასევე უსდ- ს/ ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის სტრატეგია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია დოქტორანტთა მიღება კომისიური წესით;
- უსდ- ში განსაზღვრულია სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცესში ჩართული კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას - ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი პირი კომისიას უსდ- ში დადგენილი წესის შესაბამისად, წარუდგენს კვლევის/ შემოქმედებითი კვლევის თეზისს/ პროექტს. კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/ პუბლიკაცია ან/ და სამეცნიერო- კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/ და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. დადგენილი მოთხოვნები უნდა იძლეოდეს კანდიდატის კვლევითი უნარების შეფასების შესაძლებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების დროს დგინდება უცხო ენის ფლობის დონე, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამაზე პირის მიერ ინგლისური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე ან ერთ- ერთი დასავლეთ ევროპული სხვა უცხოური ენის ცოდნას არანაკლებ B2 დონეზე და ინგლისურ ენის ცოდნას არანაკლებ B1 დონეზე;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღება ხდება უსდ- ში არსებული ადამიანური, ფინანსური და კვლევითი რესურსების, მათ შორის დოქტორანტის ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობის გათვალისწინებით. ასევე, უსდ- ს მიერ მხედველობაში მიიღება პროგრამაზე ჩარიცხული დოქტორანტების სწავლის დროულად დასრულების მაჩვენებლების ანალიზის შედეგები.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აგროინჟინერიის, გარემოსდაცვითი ინჟინერიის, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო და გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის

შესაბამისად. კერძოდ, პროგრამებზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელმაც საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ ნ ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ შესაბამისად მოიპოვა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლება.

აპლიკანტთა მხარდაჭერისა და სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და ვადების შესაბამისად. აღნიშნული ეხება შემდეგი კატეგორიის პირებს:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს;

ბ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლება უცხო ქვეყანაში მიიღეს და ზოგადი განათლების ბოლო ორი წელი უცხო ქვეყანაში ისწავლეს;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სწავლობენ ან სწავლობდნენ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული აქვთ კრედიტები ან კვალიფიკაცია;

დ) საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში ცხოვრობენ ან ცხოვრობდნენ, სწავლობენ ან სწავლობდნენ და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული აქვთ კრედიტები ან კვალიფიკაცია. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისას გათვალისწინებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება 2.1 კომპონენტის – „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“ მოთხოვნებს.

## კლასტერის შეფასება

### აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/ და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აპლიკანტების მიღება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აპლიკანტთა გარკვეული კატეგორიები, მათ შორის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და უცხოეთში განათლებამიღებული საქართველოს მოქალაქეები, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღება ყველა შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს 2.1 ქვესტანდარტის – „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“ მოთხოვნებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აპლიკანტების მიღება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აპლიკანტთა გარკვეული კატეგორიები, მათ შორის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და უცხოეთში განათლებამიღებული საქართველოს მოქალაქეები, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული

გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღება ყველა შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს 2.1 კომპონენტის – „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები" მოთხოვნებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აპლიკანტების მიღება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აპლიკანტთა გარკვეული კატეგორიები, მათ შორის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და უცხოეთში განათლებამიღებული საქართველოს მოქალაქეები, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღება ყველა შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს 2.1 კომპონენტის – „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები" მოთხოვნებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აპლიკანტების მიღება ხდება „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონითა და ერთიანი ეროვნული გამოცდების მარეგულირებელი შესაბამისი რეგულაციებით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, აპლიკანტთა გარკვეული კატეგორიები, მათ შორის შესაბამისი

უფლებამოსილების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და უცხოეთში განათლებამიღებული საქართველოს მოქალაქეები, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხონ ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით, მოქმედი ეროვნული სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაზე მიღება ყველა შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს 2.1 კომპონენტი – „პროგრამაზე დაშვების წინაპირობები“ მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

**მტკიცებულება/ინდიკატორები**

საგანმანათლებლო პროგრამები;

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „აგროინჟინერია“;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | რჩევ(ები)ა: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | | |

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი<br>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 3 (დასახელება, დონე) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | შესაბამისობაშია |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს პრაქტიკულ კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტს კოორდინირებას და სათანადოდ წარმართვას უზრუნველყოფს პრაქტიკის ხელმძღვანელი. . პრაქტიკის ობიექტზე ინიშნება მენტორი, რომელიც პრაქტიკის პერიოდში ზედამხედველობას უწევს სტუდენტის საქმიანობას. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტი ვალდებულია დაიცვას პრაქტიკის ობიექტის შინაგანაწესი, უსაფრთხოების მოთხოვნები და ეთიკური ნორმები, შეასრულოს მასზე დაკისრებული დავალებები, ასევე, პრაქტიკის გრაფიკისა და მენტორის მითითებების შესაბამისად აწარმოოს პრაქტიკის დღიური.

საგანმანათლებლო საფეხურის, პროგრამის სტრუქტურისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა განავითარონ პრაქტიკული კომპეტენციები და/ ან ჩაერთონ სამეცნიერო - კვლევით პროექტებში. სტუდენტთა კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობენ აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საუნივერსიტეტო, ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში.

ინტერვიუს დროს, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს მეტი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, რომ ჩაერთონ  სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2**
**გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3**
**ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4**
**გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

  - საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები:
  - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
  - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
  - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
  - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
  - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებსაიტი;
  - პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული შეთანხმებები/ მემორანდუმები;
  - უნივერსიტეტში ჩატარებული სტუდენტური კონფერენციები;
  - პრაქტიკის ანგარიშები;
  - ინტერვიუები პროგრამის შეფასების პერსონალთან და სტუდენტებთან.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | რჩევ(ები)ა: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | რეკომენდებულია, სსტუდენტებმა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აქტივობებში, რაც გააძლიერებს მათ აკადემიურ ჩართულობას, კვლევით კომპეტენციებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შეფასება |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4 (დასახელება, დონე)** | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება - სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

### აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1
### აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამაში გამოყენებულია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსზე მორგებული სწავლება - სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში და შერჩეულია ისე, რომ უზრუნველყოს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნული მეთოდები მოიცავს დისკუსიასა და დებატებს, თანამშრომლობით და კოლაბორაციულ ჯგუფურ მუშაობას, შემთხვევის (ქეისის) ანალიზს, გონებრივი იერიშის (Brainstorming) მეთოდს, როლურ თამაშებსა და სიმულაციებს, დემონსტრირების მეთოდს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომებს, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, ზეპირ და წერით დავალებებს, ახსნა-განმარტებით მეთოდს, გამოცდილებაზე დაფუძნებულ სწავლებას (Experiential Learning), პროექტების შემუშავებასა და პრეზენტაციას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL) და ევრისტიკულ მეთოდებს.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2
### გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამა მოიცავს სწავლება - სწავლის მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც შერჩეულია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. აღნიშნული აქტივობები განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსების

სილაბუსებში და მიზნად ისახავს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას. გამოყენებული აქტივობები მოიცავს დისკუსიებსა და დებატებს, თანამშრომლობით და კოლაბორაციულ სწავლებას, შემთხვევის შესწავლას, გონებრივი იერიშის მეთოდს, როლურ თამაშებსა და სიმულაციურ სავარჯიშოებს, დემონსტრირების მეთოდს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს, ინდუქციურ და დედუქციურ მიდგომებს, ანალიტიკურ და სინთეზურ მეთოდებს, ზეპირ და წერით დავალებებს, ახსნა- განმარტებით მეთოდებს, მოქმედებაზე დაფუძნებულ სწავლებას, პროექტების შემუშავებასა და პრეზენტაციებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL) და ელექტრონულ სწავლებას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3**
**ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამაში გამოყენებულია სწავლება - სწავლის ფართო სპექტრის მეთოდები და აქტივობები, რომლებიც შერჩეულია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სპეციფიკის შესაბამისად. გამოყენებული მეთოდები აღწერილია შესაბამის სილაბუსებში და მიმართულია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად. აღნიშნული მეთოდები მოიცავს დისკუსიებსა და დებატებს, თანამშრომლობით და კოლაბორაციულ სწავლებას, დემონსტრირების მეთოდს, ანალიტიკურ და სინთეზურ მიდგომებს, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს, ზეპირი კომუნიკაციისა და წერითი დავალებების შესრულებას, ახსნა - განმარტებით მეთოდებს, პროექტების შემუშავებასა და პრეზენტაციებს, საწარმოო და სასწავლო პრაქტიკას, გონებრივი იერიშის მეთოდს, ინდუქციურ და დედუქციურ მსჯელობას, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL) და შემთხვევის ანალიზს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4**
**გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამა იყენებს სწავლება- სწავლის მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც მორგებულია თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და სპეციფიკაზე. აღნიშნული აქტივობები განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში და ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. მათ შორისაა დისკუსიები და დებატები, გონებრივი იერიშის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ანალიტიკური მეთოდები, ზეპირი კომუნიკაცია, წერითი დავალებები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ასევე, პროექტების შემუშავება და პრეზენტაციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები:
    1. აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
    2. გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
    3. ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
    4. გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუ თვითშეფასების გუნდთან;

| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| **კომპონენტი**<br>2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | შესაბამისობაშია |

| | |
|---|---|
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4 (დასახელება, დონე)** | შესაბამისობაშია |

## 2.4. სტუდენტის შეფასება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- დოქტორანტების შეფასება ხდება უსდ - ში დადგენილი პროცედურების მიხედვით, რომელიც გამჭვირვალეა, სანდოა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება სასწავლო კომპონენტის შინაარსისა და სადოქტორო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტის ცოდნისა და უნარების, მათ შორის, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და დამოუკიდებლად გამოყენების, აზრის არგუმენტირებულად გადმოცემისა და სხვა უნარების შეფასებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროგრამა ნამუშევრის, ითვალისწინებს ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის დაცვაზე დოქტორანტის დაშვების წინაპირობებს, რომელიც ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ განმავითარებელ შეფასებებს;
- დოქტორანტის მიერ დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენამდე დოქტორანტს მოეთხოვება შესაბამის კვლევის სფეროში არანაკლებ ორი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება, მათ შორის ერთი სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში;
- სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის თანმიმდევრულად შესრულების პროგრესის პერიოდული დაკვირვება, განმავითარებელი შეფასება და უკუკავშირის მიცემა;
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები, სადოქტორო ნაშრომის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, წინასწარ ცნობილია დოქტორანტებისათვის და გათვალისწინებულია დოქტორანტთა ნაშრომების შეფასებისას;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასებისას უსდ იყენებს აკადემიური და კვლევის ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმებს;
- სადოქტორო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიური წესით - კომისიის/კომისიების მიერ;
- სადოქტორო ნაშრომის შეფასებისა ან/და დაცვის პროცედურები ითვალისწინებს სადისერტაციო ნაშრომზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე დაწესებულების (ადგილობრივი ან/და უცხოური უნივერსიტეტი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი), ადგილობრივი და საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნებს (საერთაშორისო რეცენზენტის დასკვნა სავალდებულო არ არის შემდეგი სწავლის სფეროებისთვის: ქართული ფილოლოგია, აფხაზური ფილოლოგია, ასევე, იმ შემთხვევაში,

თუკი დოქტორანტს ჰყავს საერთაშორისო ხელმძღვანელი), რომელიც აფასებს სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო კვლევის/შემოქმედებითი ნაშრომის სიახლეს და მზაობას სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის;

- ადგილობრივი რეცენზენტი არის ადგილობრივი უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- საერთაშორისო რეცენზენტი არის უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალი, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირი, რომელიც აღჭურვილია დარგის უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და ბოლო 3 წლის განმავლობაში უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტების შერჩევისა და დანიშვნის მექანიზმები და პროცესები უნდა იყოს გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური. რეცენზენტების შერჩევისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი ანონიმურობა, რაც ხელს უწყობს მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური დასკვნის მომზადებას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში შედიან შესაბამისი სფეროს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლები, რომელთა კვალიფიკაცია და კომპეტენცია იძლევა ნაშრომის სიღრმისეულად და სრულყოფილად შეფასების და კვლევის/საშემსრულებლო კვლევის ორიგინალობისა და მისი შედეგების შეფასების შესაძლებლობას;
- დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლების მონაწილეობა. დაცვის კომისიის/კომისიების მუშაობაში არ მონაწილეობს დოქტორანტის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;
- სფეროს თავისებურების გათვალისწინებით, დაცვის კომისიის/კომისიების შემადგენლობაში საჭიროების შემთხვევაში შედიან - შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის საერთაშორისო შემფასებელი/შემფასებლები, სამთავრობო/არასამთავრობო სექტორის, შრომის ბაზრის წარმომადგენელ(ებ)ი;
- სადოქტორო ნაშრომის დაცვა არის საჯარო და ღია; სადოქტორო ნაშრომის აბსტრაქტი/რეზიუმე ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოფილია კანდიდატთა პროგრამაზე ჩარიცხვისა და დისერტაციის დაცვის პროცედურების გასაჩივრება. გასაჩივრების პროცედურები საჯაროა და უზრუნველყოფს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას;
- უსდ - ს მიერ შემუშავებულია რეცენზენტის მოძიების, დანიშვნისა და მისი საქმიანობის მექანიზმები;
- მიმდინარე სადისერტაციო ნაშრომების თემატიკის შესახებ და დაცული დისერტაციების შესახებ ინფორმაცია უსდ - ს მიერ განთავსებულია ერთიან ელექტრონულ პორტალზე.

## კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

### აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი ინსტიტუციური პროცედურების შესაბამისად. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმები სათანადოდ არის ორგანიზებული. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ და რომ ლექტორები თითოეული სასწავლო კურსის პირველი ლექციის ფარგლებშივე აცნობენ მათ სილაბუსს და შეფასების მეთოდებს. სტუდენტების თქმით, შეფასების პროცესი არის სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე.
ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ პროგრამებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, ზოგადად, შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და სასწავლო მიზნებს. სტუდენტები დროულად იღებენ ინფორმაციას საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და პროგრესის შესახებ, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესზე და მათ შესაძლებლობას აძლევს, აკონტროლონ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის დონე.
უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების შედეგების გასაჩივრების ფორმალური მექანიზმი და პროცედურები და სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ამის შესახებ. სტუდენტების შეფასებით, გასაჩივრების პროცესი არის ხელმისაწვდომი, გამჭვირვალე და ეფექტიანი.
მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საჭიროა სტუდენტთა ცნობიერების შემდგომი ამაღლება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის მექანიზმებთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს შესაბამისი ინსტიტუციური პროცედურები, სტუდენტებმა შეზღუდული ცოდნა გამოავლინეს პლაგიატის პოლიტიკის, პლაგიატის გამოვლენის პროცედურებისა და პასუხისმგებლიანი აკადემიური ქცევის პრინციპების შესახებ. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამებში აკადემიური ეთიკის პრინციპების პოპულარიზაციისა და პრაქტიკაში დანერგვის გასაძლიერებლად.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/ და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- საგანმანათლებლო პროგრამა; სილაბუსები;

| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | | სასურველია, პლაგიატის პრევენციის მექანიზმების, პროცედურებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპების შემუშავება და სისტემატური კომუნიკაცია, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის რეგულარული საინფორმაციო და სასწავლო აქტივობების გზით. |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | | |

## შეფასება

**გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან**

| კომპონენტი<br>2.4. სტუდენტის შეფასება | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 (აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | შესაბამისობაშია |
| პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | შესაბამისობაშია |

## 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტებთან/ ცენტრებთან/ უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/ შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.

- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობის სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ- ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ-კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისაკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროგრამები სტუდენტებს სთავაზობს საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისების ფართო სპექტრს, რომლებიც ხელს უწყობს კომუნიკაციას, აკადემიურ კონსულტირებასა და საჭირო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია ეფექტიანად მიეწოდება სტუდენტებს, უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტისა და სხვა ოფიციალური საკომუნიკაციო არხების მეშვეობით. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ აკადემიური პერსონალი არის ხელმისაწვდომი და რეაგირებს მათ საჭიროებებზე, ხოლო ლექტორებთან კომუნიკაცია კი ზოგადად მარტივი და ეფექტიანია.

აკადემიური მხარდაჭერის თვალსაზრისით, სტუდენტები ძირითადად მიმართავენ პროგრამის კოორდინატორებს, დეკანსა და დეკანის მოადგილეს. სტუდენტების შეფასებით, აღნიშნული პირების ჩართულობა და რეაგირების ხარისხი დადებითად ფასდება; მათ

აღნიშნეს, რომ აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხები, როგორც წესი, გონივრულ ვადებში გვარდება. სტუდენტებმა ასევე გამოხატეს საერთო კმაყოფილება ბიბლიოთეკის რესურსებითა და სასწავლო მასალების ხელმისაწვდომობით.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე მიმართულება, რომელიც საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. როგორც სტუდენტებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობასთან დაკავშირებული ხარვეზები, მათ შორის მიკროსკოპების არასაკმარისი რაოდენობა და ლაბორატორიული მასალებისა და ქიმიური რეაგენტების შეზღუდული ხელმისაწვდომობა. აღნიშნული შეზღუდვები ამცირებს სტუდენტთა ინდივიდუალური პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობებს და ზღუდავს ლაბორატორიაზე დაფუძნებული სწავლებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლის ეფექტიანობას. ვინაიდან პრაქტიკული და ლაბორატორიული მომზადება საინჟინრო განათლების ფუნდამენტურ კომპონენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით სწავლის საწყის ეტაპებზე, აუცილებელია, დამატებითი ინვესტიციების განხორციელება ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის განვითარებისთვის, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას.

სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ სასურველი იქნებოდა, სასწავლო განრიგის დაგეგმვისას მეტი მოქნილობა, რაც ხელს შეუწყობდა სწავლის საერთო გამოცდილების გაუმჯობესებას.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო მობილობისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ შესაძლებლობებში მონაწილეობის მაჩვენებელი დაბალია. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა მიუთითეს, რომ მობილობის პროგრამებში მონაწილეობის ძირითად ბარიერებს წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების შეზღუდული აღქმა და უცხო ენის არასაკმარისი კომპეტენციები.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/ და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- ინტერვიუ;
- ინტერვიუ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან;

- **თვითშეფასების ანგარიში;**

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები ლაბორატორიული ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გაუმჯობესების, პრაქტიკული და ლაბორატორიული სწავლების შესაძლებლობების გაფართოების, ასევე, საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის გზით, რაც მოიცავს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გაძლიერებას და უცხოენოვანი კომპეტენციების განვითარების მიზნობრივ მხარდაჭერას. | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | | |

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 (აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის / თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ - ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/ შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება- მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;

- ხელშეკრულების/ შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/ შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/ სამეცნიერო- კვლევითი ნაშრომის/ დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;
- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/ შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო- კვლევითი დაწესებულების/ ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის სტატუსით ჩართულობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3- ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/ პროექტის პირობებიდან გამომდინარე;

- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/ თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**აღწერა და ანალიზი**

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)**

სამაგისტრო ნაშრომების წარმატებით დასრულებისთვის ხელმძღვანელების როლი უმნიშვნელოვანესია. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხელმძღვანელების დანიშვნის ფორმალური პროცედურები, რომლის თანახმადაც ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება. ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ - პროფესორი ან მოწვეული პროფესორი, ხოლო ინტერდისციპლინური კვლევის მხარდაჭერის მიზნით, სტუდენტს შესაძლოა დაენიშნოს თანახელმძღვანელიც.

ხელმძღვანელების ვალდებულებაა სტუდენტებთან რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა და უწყვეტი კონსულტირება ინდივიდუალური კვლევითი გეგმების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრავს კვლევის მიზნებს, ეტაპებსა და მოსალოდნელ შედეგებს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომების შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება 100 - ქულიან შეფასების სისტემას, ხოლო ხელმძღვანელები არ მონაწილეობენ ნაშრომის საბოლოო შეფასების ფორმალურ პროცესში, რაც ხელს უწყობს შეფასების ობიექტურობას. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომის რეცენზიაში მნიშვნელოვანი მსგავსებები გამოავლინა, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს რეცენზირების პროცესის ინდივიდუალიზაციასა და სიღრმეს.

უნივერსიტეტს ასევე დანერგილი აქვს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის მარეგულირებელი წესები და პროცედურები, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე სავალდებულო პლაგიატის შემოწმება და პლაგიატის გამოვლენის პროგრამულ

უზრუნველყოფაზე წვდომა. მიუხედავად ამისა, სამაგისტრო ნაშრომების განხილვამ გამოავლინა ხარვეზები აკადემიური წერისა და წყაროების მითითების პრაქტიკაში, რადგან ციტირების სტანდარტები არ იყო თანმიმდევრულად დაცული, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში გამოყენებული იყო პირდაპირი ვებ-ბმულები სათანადოდ მითითებული ბიბლიოგრაფიის ნაცვლად.

| **მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები**<br>**პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)[8]** | |
|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | **5** |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | - |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | **5** |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | - |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | **4:1.00** |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | - |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო ნაშრომის შეფასება
- **თვითშეფასების ანგარიში;**
- **სტუდენტებთან ინტერვიუ;**
- **ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;**

[8] აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) | **რჩევ(ები)ა:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის საერთო რეკომენდაციები/რჩევები | | |
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | | |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | რეკომენდებულია, სტუდენტებს მიეწოდოს მკაფიო, დეტალური და ინდივიდუალიზებული შეფასება, რომელიც ასახავს მათ პროგრესსა და მიღწევებს და უზრუნველყოფს კონსტრუქციულ რეკომენდაციებს მათი შემდგომი აკადემიური და კვლევითი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

| კომპონენტი<br>3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შეფასება |
|---|---|

| | |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | - აირჩიეთ შესაბამისი |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | - |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | - |
| **პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერია)** | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

საგანმანათლებლო პროგრამის/ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1. ადამიანური რესურსები

➢ პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისაგან, რომლებსაც აქვთ საჭირო კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.
➢ პროგრამის აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად წარმართვას, ასევე, მათი კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა დაკისრებული მოვალეობების სათანადო შესრულებას. აკადემიურ/ სამეცნიერო/ მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
➢ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე სათანადო კომპეტენციებს პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
➢ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობით.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულია შესაბამისი სფეროს მინიმუმ 5 აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის მინიმუმ 3 პროფესორი/ ასოცირებული პროფესორი. თუ შესაძლებელია, დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში უნდა ჩართოს სამეცნიერო პერსონალი;
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური/ სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ ან პრაქტიკული/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს მის კომპეტენციას შესაბამის სფეროში;

- უსდ ხელს უწყობს უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტის/ ცენტრის თანამშრომლების ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის დიზაინისა და შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე პროგრამის სწავლის სფეროს შესაბამისი კომპეტენციები. იგი უშუალოდ მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში და წარმოადგენს დაწესებულების აფილირებულ აკადემიურ და/ ან სამეცნიერო პერსონალს;

## კლასტერის შეფასება

### კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით. კლასტერის განვითარებასა და განხორციელებას მხარს უჭერს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

ამ კლასტერში პროგრამებს ჰყავთ გამოცდილი პროგრამის ხელმძღვანელები. ექსპერტები აღიარებენ მათ პროფესიულ ცოდნას, აკადემიურ კვალიფიკაციას, პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე, თეორიულ და პრაქტიკულ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია პროგრამის მართვისათვის. თუმცა, ექსპერტებს სურთ ხაზი გაუსვან რამდენიმე საკითხს, რომელიც ეხება კოორდინაციის ნაკლებობას ფაკულტეტის მენეჯმენტს, პროგრამის ხელმძღვანელებს, როგორც ტექნიკური, ასევე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის.

ექსპერტების ვიზიტმა უნივერსიტეტში, ასევე, თვითშეფასების ანგარიშისა და დოკუმენტების განხილვამ აჩვენა აკადემიური პერსონალის ჩართულობა პროგრამის დაგეგმვაში, უწყვეტ განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. აკადემიური პერსონალი ასევე ჩართულია პროგრამების, ასევე, თითოეული პროგრამის ფარგლებში ჩატარებული ინდივიდუალური კურსების შეფასებაში.

პროგრამა შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციურ პრიორიტეტებს და პასუხობს საქართველოში სოფლის მეურნეობის, გარემოსდაცვითი, ნიადაგისა და წყლის ინჟინრების შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებს. ამავდროულად, ვიზიტის დროს რესპონდენტებმა აღიარეს ის ფაქტი, რომ მართალია თემატურად პროგრამები ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება, მაგრამ სტუდენტებში ინტერესის ზოგადი დონე რჩება შეზღუდული.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა აკადემიური პერსონალის შერჩევის ღია და გამჭვირვალე კონკურსის პროცედურების მტკიცებულებები. ექსპერტთა გუნდი აღიარებს პროცედურების „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე, თავად უნივერსიტეტის საწესდებო დოკუმენტებთან შესაბამისობას. ექსპერტები ასევე აღიარებენ, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კლასტერის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, ასევე, მოწვეული პერსონალის რაოდენობა მისი მასშტაბის, ინდივიდუალური პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სტუდენტების ჩარიცხვის შესაბამისი და ადეკვატურია. პერსონალის რესურსები საკმარისია როგორც საგანმანათლებლო პროცესის, ასევე კლასტერის პროგრამებთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპეტენციები დასტურდება მათი აკადემიური მიღწევებით. ისინი რეგულარულად ხელმძღვანელობენ და ხელს უწყობენ სახელმძღვანელოების, რეცენზირებად ჟურნალებში სამეცნიერო პუბლიკაციების, მონოგრაფიების გამოქვეყნებას, ასევე, მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო, ეროვნულ, ასევე, უნივერსიტეტის დონის სამეცნიერო კონფერენციებსა და ღონისძიებებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს არაერთ საერთაშორისო და ეროვნულ კვლევით და გამოყენებით პროექტში. ამის მიუხედავად, სასწავლო პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის, მოქნილობისა და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება, პერსონალის მოულოდნელი დეფიციტისა და პროგრამის მდგრადობასთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით.
აკადემიური პერსონალის დატვირთვა მაღალია. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ზოგიერთი აკადემიური პერსონალი პასუხისმგებელია 10 - 12 კურსის სწავლებაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სწავლების ხარისხზე, კვლევის პროდუქტიულობასა და საერთო აკადემიურ შესრულებაზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სწავლების პასუხისმგებლობის უფრო დაბალანსებული და რაციონალური განაწილება, ამავდროულად, მოამზადოს ახალი აკადემიური პერსონალი სასწავლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად და გააძლიეროს ინსტიტუციური შესაძლებლობები. უსდ - მ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ პროგრამები ფუნქციონირებენ სემესტრულად განახლებადი დატვირთვის განაწილების სისტემის ფარგლებში. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა ნაწილდება სწავლების პასუხისმგებლობის, კვლევითი ვალდებულებების, სტუდენტებთან კონსულტაციისა და დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებების, პროგრამის მართვასა და უწყვეტი განვითარების პროცესებში მონაწილეობის, ასევე, სხვა აკადემიური ვალდებულებების გათვალისწინებით. როგორც დაფიქსირდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუდმივად მონაწილეობს სასწავლო გეგმის განხილვაში, პროგრამის შეფასებაში, საკონსულტაციო საქმიანობაში, ასევე, სწავლების მიდგომების დახვეწაში. პროცესს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის მენეჯმენტი ხარისხის უზრუნველყოფის გუნდებთან კოორდინაციით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

### აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

| გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით) | პროგრამის პერსონალის რაოდენობა | დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით[9] | დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის ჩათვლით[10] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **29** | **23** | **23** | **0** |
| - პროფესორი | 5 | 2 | 2 | 0 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 10 | 10 | 0 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 11 | 11 | 11 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |
| საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით | 0 | 0 | 0 | 0 |

აკადემიურ პერსონალს გააჩნია სასწავლო პროგრამის გამიზნული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კვალიფიკაცია და კომპეტენციები. პროგრამის ხელმძღვანელი ავლენს

[9] ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[10] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

პროგრამის ეფექტური შემუშავების, განხორციელებისა და უწყვეტი გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს. თუმცა, შეზღუდულია, პროგრამის განხორციელებაში ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ჩართულობა. პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობისა და ეფექტური დაგეგმვის მიზნით, დაწესებულებამ უნდა წაახალისოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის მონაწილეობა და შექმნას შესაძლებლობები მათი პროგრესული ინტეგრაციისათვის სწავლებაში, კვლევასა და პროგრამის განმავითარებელ აქტივობებში.

| აგროინჟინერია, ბაკალავრიატი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [11] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **31** | **23** | **23** | **0** |
| - პროფესორი | 10 | 6 | 6 | 0 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 9 | 9 | 0 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 2 | 2 | 2 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 6 | 6 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |
| საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით | 0 | 0 | 0 | 0 |

აკადემიურ პერსონალს გააჩნია კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და საგნობრივი კომპეტენცია, რაც აუცილებელია პროგრამის მიერ დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ აკადემიური კვალიფიკაცია, პროფესიული

[11] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

გამოცდილება და მენეჯერული კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია პროგრამის ეფექტური კოორდინაციისა და განხორციელებისთვის. ისინი აქტიურ როლს ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინში, უწყვეტ შეფასებაში, გაუმჯობესებასა და საერთო მართვაში.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში ნაკლებადაა ჩართული ახალგაზრდა პერსონალი. პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით ახალგაზრდა პერსონალის დაინტერესება და ჩართულობა.

| ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი | მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [12] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **31** | **24** | **24** | **0** |
| - პროფესორი | 11 | 8 | 8 | 0 |
| - ასოცირებული პროფესორი | 11 | 7 | 7 | 0 |
| - ასისტენტ–პროფესორი | 2 | 2 | 2 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 7 | 7 | 0 |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | 0 |
| საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით | 0 | 0 | 0 | 0 |

[12] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

აკადემიურ პერსონალს გააჩნია კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და საგნობრივი კომპეტენცია, რაც აუცილებელია პროგრამის მიერ დასახული სწავლის შედეგების მისაღწევად.

პროგრამას ხელმძღვანელობს გამოცდილი აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია მისი ეფექტური კოორდინაციისა და უწყვეტი განვითარებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, გამოცდილება და მენეჯერული კომპეტენციები. პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურ როლს ასრულებენ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგში, შეფასებასა და მუდმივ გაუმჯობესებაში.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა პერსონალი ნაკლებად არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის მდგრადობის თვალსაზრისით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროგრამით ახალგაზრდა პერსონალის დაინტერესება და ჩართულობა.

| გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)** | **პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა** | **მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი** | **მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს [13]** | **მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
| **სულ აკადემიური პერსონალი** | **16** | **12** | **12** | **0** |
| **- პროფესორი** | 5 | 3 | 3 | 0 |
| **- ასოცირებული პროფესორი** | 4 | 2 | 2 | 0 |
| **- ასისტენტ-პროფესორი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| **- ასისტენტი** | 0 | 0 | 0 | 0 |
| **მოწვეული პერსონალი** | 7 | 7 | 7 | 0 |
| **სამეცნიერო პერსონალი** | 0 | 0 | 0 | 0 |

[13] შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით** | 0 | 0 | 0 | 0 |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები, დიპლომები და პუბლიკაციები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება;
- აკადემიური პერსონალის გადასამზადებელ პროგრამებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- ფაკულტეტის დებულება
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობა.

| | | |
|---|---|---|
| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | **რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები** | რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პოტენციალი და გაიზარდოს სასწავლო პერსონალის რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო დატვირთვის დაბალანსებულ განაწილებას და შეამცირებს აკადემიური პერსონალის გადაჭარბებულ დატვირთვას. რეკომენდებულია, სასწავლო პროცესის მხარდაჭერის და პროგრამების გრძელვადიანი განვითარების და | |

| | | |
|---|---|---|
| | უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტმა დაიქირავოს ახალგაზრდა პროფესორები და კარიერული განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი აკადემიური პერსონალი. | |
| **გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი** | | |
| **აგროინჟინერია, ბაკალავრიატი** | | |
| **ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი** | | |
| **გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა** | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| **კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები** | **შეფასება** |
|---|---|
| გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია |
| აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია |
| ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია |
| გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო- კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის კვალიფიკაციისადმი მოთხოვნები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას;
- დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აღჭურვილია უახლესი ცოდნით, აქვს აკადემიური ხარისხი შესაბამის სფეროში, აქვს ხელმძღვანელობის/
- თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან დასრულებული აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და ა.შ.), ასევე აქტიურად მონაწილეობს სამეცნიერო კვლევაში და/ ან გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (ხელოვნების სფეროში - შემოქმედებითი/ საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემას/ კვლევით სფეროს;
- დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 1 სამეცნიერო ნაშრომი (ხელოვნების სფეროში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი) უცხოურ რეცენზირებად ჟურნალში, რომელსაც აქვს უსდ- ის მიერ განსაზღვრული საერთაშორისო ინდექსი და ეს ნაშრომი შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემას/კვლევით სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, არის უსდ-ს აკადემიური (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) და/ ან სამეცნიერო პერსონალი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი ან დოქტორის ხარისხის ეკვივალენტი. აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ ეს მოცემული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/ თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს პროფესიული კავშირი ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/ სახელოვნებო საზოგადოებასთან (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/ კავშირები/ საგანმანათლებლო/ სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემას/კვლევით სფეროს;
- უსდ პერიოდულად უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელს ისეთი აქტივობებით (ტრენინგი, სემინარი, ვორქშოპი და ა.შ.), რომლებიც ხელს უწყობენ ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ- ს შემუშავებული აქვს მექანიზმები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაშიდოქტორანტების ხელმძღვანელების წასახალისებლად;

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

## კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას მხარს უჭერს მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელთა სამეცნიერო ექსპერტიზა და კვლევითი გამოცდილება სტუდენტებს საშუალებას აძლევს იმუშაონ ფართო სპექტრის კვლევით თემებსა და თემატურ სფეროებზე. პროგრამაში ჩართულ პერსონალი ფლობს შესაბამის და ადეკვატურ კვალიფიკაციებს. მათი კვლევითი მიღწევები დასტურდება უსდ - ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით.

უნივერსიტეტს, პროგრამის მიზნების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისა და თანახელმძღვანელებისთვის დადგენილი აქვს მკაფიო საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მოთხოვნები დამატებით გათვალისწინებულია ინსტიტუციური დებულებით. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის პროცესი ორგანიზებულია სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის მჭიდრო თანამშრომლობით. თავდაპირველად, ფაკულტეტი ადგენს თემატურ სფეროებს, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტებს აქვთ თავისუფალი არჩევანი, რათა გადაწყვიტონ თავიანთი კვლევის კონკრეტული ფოკუსი. კვლევის თემის არჩევის შემდეგ, სტუდენტები ხელმძღვანელებთან ერთად იწყებენ ინდივიდუალურ სამუშაო გეგმაზე მუშაობას, რომელიც ასახავს თითოეული ეტაპისათვის კვლევითი მიზნების მიღწევის გზებს. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ მეთოდოლოგიურ და აკადემიურ წინამძღოლობას და აკონტროლებენ სამუშაოს პროგრესს. ხელმძღვანელები ასევე ეხმარებიან სტუდენტებს, რომ მოემზადონ სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისა და დაცვისთვის.

ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, ფაკულტეტის პრაქტიკა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობით, გაცნობითი და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზების თაობაზე. ეს ურთიერთქმედებები საშუალებას აძლევს სტუდენტებს რომ გაეცნონ აკადემიური პერსონალის კვლევით ინტერესებს, ექსპერტიზის სფეროებსა და მიმდინარე აკადემიურ საქმიანობას. ამავდროულად, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გამართულმა დისკუსიებმა აჩვენა, რომ სამაგისტრო თემების შერჩევა, ძირითადად, სტუდენტების ინდივიდუალური აკადემიური ინტერესებითა და პროფესიული მისწრაფებებით არის განპირობებული. სტუდენტები, როგორც წესი, განსაზღვრავენ კვლევის სფეროებს, რომელთა შესწავლაც სურთ და შემდგომში ხელმძღვანელობისთვის ეძებენ აკადემიურ პერსონალს, რომელთა ექსპერტიზაც ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული მათ მიერ შერჩეულ თემასთან. ხელმძღვანელობის მოქნილობა საშუალებას აძლევს სტუდენტებს, რომ შეიმუშაონ ორიგინალური კვლევითი თემები და ამავდროულად, ისარგებლონ ფაკულტეტსა და, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორ ინსტიტუტებში არსებული სამეცნიერო ექსპერტიზით. კვალიფიციური ხელმძღვანელების, მკაფიო სახელმძღვანელო პროცედურებისა და სტუდენტზე ორიენტირებული თემის შერჩევის კომბინაცია ხელს უწყობს სამაგისტრო კვლევის ხარისხს და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციებში, ფორუმებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ უსდ-ის თანამშრომლები რეგულარულად ახალისებენ და იწვევენ მათ მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. ეს ხელს უწყობს როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის,

ასევე, მაგისტრანტების უწყვეტ განვითარებას და უზრუნველყოფს მათ მუდმივ ინფორმირებულობას კვლევის უახლესი ტენდენციებისა და მოვლენების თაობაზე.

საერთო ჯამში, აკრედიტაციის პროცესში განხილული მტკიცებულებები აჩვენებს, რომ პროგრამას აქვს ხელმძღვანელობის საკმარისი შესაძლებლობები და შესაბამისი მექანიზმები, რათა დაეხმაროს სტუდენტებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, განხორციელებისა და წარმატებით დასრულების პროცესში.

თუმცა, ექსპერტებმა ვერ შეამოწმეს, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად დანიშნული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. ასევე, ვერ შემოწმდა, ამ პერსონალიდან რამდენს ჰქონდა დოქტორის ხარისხი დარგობრივი მიმართულებით ან რამდენი იყო აფილირებული აკადემიური პერსონალი, რადგან უსდ - ს მიერ შესაბამისი დოკუმენტები არ იქნა წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახლადშექმნილია, ეს შეზღუდვები შესაძლოა ნაწილობრივ უკავშირდებოდეს პროგრამის შემუშავების ადრეულ ეტაპს და იმ ფაქტს, მისი აკადემიური და ადმინისტრაციული სტრუქტურები ამჟამად ყალიბდება.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)**

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

| გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა | | | |
|---|---|---|---|
| **სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **ნაშრომის ხელმძღვანელები** | **მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი** [14] | **მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი** |
| **სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა** | **5** | **-** | **-** |
| **- პროფესორი** | - | - | - |

[14] ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

| | | | |
|---|---|---|---|
| - ასოცირებული პროფესორი | - | - | - |
| - ასისტენტ–პროფესორი | - | - | - |
| მოწვეული პერსონალი | - | - | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | - | - | _ |
| საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით | - | - | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები, დიპლომებისა და აკადემიური ნაშრომების სია.
- პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

| | | |
|---|---|---|
| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები | | |
| გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა | რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეარჩიოს მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები. | |

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შეფასება |
|---|---|

| | |
|---|---|
| **პროგრამა 1 (დასახელება, დონე)** | - |
| **პროგრამა 2 (დასახელება, დონე)** | - |
| **პროგრამა 3 (დასახელება, დონე)** | - |
| **პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა)** | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

➢ უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შეფასების შედეგების ანალიზს.
➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ პროგრამების შემუშავება განხორციელდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის მონაწილეობით, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ უნივერსიტეტის დებულების შესაბამისად. დოკუმენტაცია ასევე მიუთითებს, რომ სამუშაო შეხვედრები გაიმართა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ეს შეხვედრები მოიცავდა კონსულტაციებს და პროფესიულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს, უნივერსიტეტის ზოგიერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასებისათვის შეზღუდული დროის გამო, მნიშვნელოვანი კონსულტაციისთვის გამოყოფილი დრო საკმაოდ მცირე იყო.

პერსონალის შეფასებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა კითხვარები ფაკულტეტის დონეზე, მათ შორის კითხვარი, რომლის მეშვეობითაც აკადემიური პერსონალი აფასებს პროგრამას; კითხვარი, რომელიც აფასებს პერსონალის ჩართულობას პროგრამის შემუშავებასა და გაუმჯობესებაში და კითხვარი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების დონეს. ეს შეესაბამება სტანდარტის მოლოდინს, რომ პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების შესწავლა უნდა ჩატარდეს, შედეგები გაანალიზდეს და საბოლოოდ, გამოყენებული იქნას პერსონალის მართვისა და უწყვეტი

განვითარებისთვის. უსდ - ს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე აჩვენებს, რომ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლის უკუკავშირის მექანიზმები გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებისგან მოსალოდნელია, რომ შეაფასონ აკადემიური პერსონალი და კურსის შინაარსიც. დამსაქმებლები, შეხვედრებისა და კითხვარების მეშვეობით, ასევე, ჩართულნი არიან კურსდამთავრებულთა კომპეტენციებისა და შრომის ბაზრის საჭიროებების დადგენაში. ეს, მოცემულ კლასტერში, წარმოადგენს შესაბამის ხარისხის უზრუნველყოფის გარემოს პერსონალის განვითარების საჭიროებებისათვის.

დოკუმენტაცია ასევე მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი განუწყვეტლივ აწყობს სამუშაო შეხვედრებს აკადემიურ პერსონალთან, რათა იგი ინფორმირებული იყოს ამ სფეროებში მიმდინარე ცვლილებებისა და ინოვაციების შესახებ. ექსპერტთა გუნდი ასევე დარწმუნდა, რომ აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროფესიული განვითარების ტრენინგებში, კვლევით პროექტებსა და სხვა აქტივობებში/ღონისძიებებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიზის დოკუმენტი დამატებით ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესში ჩართული პერსონალი მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში. პერსონალის გამოკითხვაში სულ 20 ბენეფიციარი მონაწილეობდა. რესპონდენტთა უმრავლესობამ განაცხადა, რომ პროგრამები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის, ასევე, უნარების შეძენასა და განვითარებას, ხოლო მონაწილეთა 80% - მა განაცხადა, რომ ისინი კურსების ავტორები არიან და აქტიურად მონაწილეობდნენ კურსების გადახედვის პროცესში. რესპონდენტთა 90% - მა განაცხადა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესში და ასევე, ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია პროგრამული ცვლილებების შესახებ.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ პერსონალმა წარმოდგენილი პროგრამები ზოგადად შეაფასა დადებითად. მათ აღნიშნეს, რომ პროგრამის მიზნები არის მკაფიო, რეალისტური და მიღწევადი. მათ ასევე აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგები უშუალოდ შეესაბამება პროგრამის მიზნებს. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კურსების სირთულე, თანმიმდევრობა, ასევე, კურსების პრაქტიკული ელემენტები სწავლის მიზნებისა და შედეგების მიმართ იყო ადეკვატური.

წარმოდგენილი მტკიცებულებები მეტად ღირებული იქნებოდა თუკი უსდ აჩვენებდა, თუ როგორ იყენებს, სისტემურ დონეზე, პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს ინდივიდუალური ან კოლექტიური განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვისას, მათ შორის: მიზნობრივ ტრენინგებში, მეთოდოლოგიურ მხარდაჭერაში, კვლევით მხარდაჭერაში, მენტორობაში, საერთაშორისო მობილობისა და ელექტრონული სწავლების შესაძლებლობების გაზიარების ღონისძიებებშიც კი. 4.3 სტანდარტი მოითხოვს არა მხოლოდ ამ მექანიზმების არსებობას, არამედ, უფრო მნიშვნელოვანია, მათი შედეგების აქტიური

გამოყენება. შესაბამისად, კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებს აქვთ შეფასების ეს მექანიზმები, თუმცა საჭიროა, მკაფიოდ იყოს ნაჩვენები მთლიანი ჯაჭვი, თუ როგორ ხდება პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე საჭიროებების დადგენა, ამ საჭიროებების შესაბამისად კი განმავითარებელი აქტივობების დაგეგმვა, და საბოლოოდ, როგორ იზომება ის ნიშნული რაც გაუმჯობესდა და იგეგმება შემდგომი აქტივობები.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, საზოგადოდ, სარგებლობს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების კლასტერული დონის მექანიზმებით. თუმცა, რადგან პროგრამა ახალია და დარგზე/ პრაქტიკაზე ორიენტირებული, მიზანშეწონილია, პერსონალის განვითარების საჭიროებების და აქტივობების პროგრამის სპეციფიკური დოკუმენტირება, განსაკუთრებით, პრაქტიკული ტრენინგის, თანამედროვე აგროინჟინერიის ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების, შეფასების პრაქტიკისა და კვლევითი ჩართულობის კუთხით.

**აღწერა და ანალიზი - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამა კლასტერის დონეზე შეესაბამება 4.3 სტანდარტის მოთხოვნებს. მტკიცებულებების გასამყარებლად, მნიშვნელოვანია, თუ როგორ ეხმარება პროგრამა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს დარგობრივი ცოდნის განახლებაში, ლაბორატორიულ/ პრაქტიკულ სწავლების მიდგომებში, გარემოს მონიტორინგის მეთოდებსა და თანამედროვე სამეცნიერო/ ტექნიკური რესურსების გამოყენებაში.

**აღწერა და ანალიზი - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

პროგრამაში, ზოგადად, გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების მექანიზმები. მნიშვნელოვანია, პერსონალის პროფესიული განმავითარებელი აქტივობების დოკუმენტირება, რომლებიც უკავშირდება ნიადაგისა და წყლის რესურსების მართვას, ჰიდროლოგიურ და ლაბორატორიულ მეთოდებს, პრაქტიკულ/ სამრეწველო ტრენინგებს, თანამედროვე აგროინჟინერიის სისტემებს და კვლევით საქმიანობას.

**აღწერა და ანალიზი - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დანერგილია პერსონალის შეფასებისა და განვითარების მექანიზმები. თუმცა, პროგრამის სწავლების დონისა და კვლევითი კომპონენტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი იქნას მტკიცებულებები, რომ პროგრამა

სთავაზობს კვლევაში ჩართულ პერსონალს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს კვლევის ხელმძღვანელობის, კვლევის მეთოდოლოგიის, პუბლიკაციის სტანდარტების, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობისა და თანამედროვე გარემოსდაცვითი ინჟინერიის ტექნოლოგიების მიმართულებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პერსონალის შეფასებისა და პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარები, პერსონალის ჩართულობის კითხვარები და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარები.
- პროგრამის შემუშავებისთვის გამოყენებული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო შეხვედრის ჩანაწერები
- პროფესიული განვითარების ტრენინგების, გაცვლითი პროექტების და მსგავსი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- პერსონალის გამოკითხვის ანალიზი, რომელიც აჩვენებს პერსონალის მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში, მოდიფიკაციასა და კურსის მიმოხილვაში
- საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებისა და კვლევის მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ პერსონალის ინფორმირებულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები | რეკომენდებულია, პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები სისტემატურად აისახოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ყოველწლიურ გეგმაში, გამოვლენილი საჭიროებების, დაგეგმილი აქტივობების, პერსონალის ჩართულობის, გამოყოფილი რესურსების, განხორციელების შედეგების და შემდგომი ქმედებების მკაფიო მტკიცებულებით. სტანდარტის მოთხოვნაა, რომ პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის | სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის შემუშავდეს ყოველწლიური პერსონალის განვითარების მატრიცა, რომელიც თითოეული პროგრამის სწავლების, კვლევის და პრაქტიკული ტრენინგის საჭიროებებს დააკავშირებს პროფესიული განვითარების შესაბამის აქტივობებთან, როგორიცაა ტრენინგები, სემინარები, კოლეგიალური დაკვირვება, კონფერენციებში მონაწილეობა, კვლევითი სემინარები, საერთაშორისო მობილობა, |

| | | |
|---|---|---|
| | შედეგები აქტიურად იქნას გამოყენებული პროფესიული განვითარების და პერსონალის მხარდაჭერის მიზნით. | ელექტრონული სწავლების /ციფრული სწავლების ტრენინგი და მეთოდოლოგიური მხარდაჭერა. |
| პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, პერსონალის განვითარების წლიური გეგმა მოიცავდეს პროგრამის სპეციფიკურ საჭიროებებს, რომლებიც დაკავშირებულია აგროინჟინერიასთან, სასოფლო - სამეურნეო ტექნიკასთან, მელიორაციულ სისტემებთან, პრაქტიკულ / საველე სწავლებასთან და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლის შედეგების შეფასებასთან. | |
| პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, პერსონალის განვითარების გეგმა მოიცავდეს გარემოს მონიტორინგს, დაბინძურების კონტროლის ტექნოლოგიებს, ლაბორატორიული / პრაქტიკული სწავლების მეთოდებს, მიმდინარე გარემოსდაცვით რეგულაციებს და პრაქტიკაზე ორიენტირებული კომპეტენციების შეფასებას. | სასურველია, პერსონალი მეტად მონაწილეობდეს გარემოს დაცვის ტექნოლოგიებთან, ჩამდინარე წყლების/ ჰაერის დაბინძურების დამუშავების მეთოდებთან, ეკოლოგიურ მონიტორინგთან და ციფრულ/ ლაბორატორიულ სასწავლო ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სემინარებში, ტრენინგებსა და კონფერენციებში. |
| პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის განვითარების აქტივობების სისტემატური დოკუმენტირება, რომლებიც დაკავშირებულია ნიადაგმცოდნეობასთან, წყლის რესურსების მართვასთან, ჰიდროლოგიასთან, სარწყავ / სადრენაჟო სისტემებთან, ლაბორატორიულ მეთოდებთან და საწარმოო პრაქტიკულ სწავლებასთან. | სასურველია, პერსონალისათვის შეიქმნას პროგრამის სპეციფიკური პროფესიული განვითარების ღონისძიებები, რომლებიც ორიენტირებული იქნება ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის თანამედროვე მეთოდებზე, პრაქტიკულ-საზედამხედველო მიდგომებზე, გამოყენებით კვლევასა და შესაბამის საჯარო/ კერძო სექტორის ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. |
| პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა | რეკომენდებულია, მაგისტრანტების ხელმძღვანელებმა და კვლევით კომპონენტში ჩართულმა პერსონალმა გაიარონ მიზნობრივი პროფესიული ტრენინგი კვლევის ხელმძღვანელობის, კვლევის მეთოდოლოგიის, გამოქვეყნების ეთიკის, აკადემიური წერის, საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის და გარემოს ინჟინერიის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია, იქედან გამომდინარე, რომ სტანდარტი მოითხოვს სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის ს მხარდაჭერას და | სასურველია, სულ მცირე ყოველწლიური სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, რომლებიც ითვალისწინებს ხელმძღვანელობის დაგეგმვას, უკუკავშირის პრაქტიკას, კვლევის პროგრესის შეფასებას, პუბლიკაციის ხელმძღვანელობას, კვლევის ეთიკას და სტუდენტების ინტეგრაციას ადგილობრივ/ საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში. |

| | | |
|---|---|---|
| | საერთაშორისო პროექტებში, კვლევებში და კონფერენციებში მონაწილეობას. | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| **კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1 - აგროინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3 - ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4 - გარემოსდაცვითი ინჟინერიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |

## 4.4. მატერიალური რესურსი

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აღჭურვილია საჭირო კვლევითი და მხატვრულ-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტებისთვის ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და ა.შ.), რომლებიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის ბაზები, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე ნებისმიერი სხვა ადგილიდან, რაც მათ საშუალებას აძლევს, პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ შესაბამისი კვლევითი დარგის სამეცნიერო რესურსებს;

- სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის განსახორციელებლად, უსდ ხელს უწყობს სამეცნიერო- კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას როგორც დაწესებულების შიგნით, ასევე მის გარეთ არსებულ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/ შემოქმედებითი კვლევის ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით, მათ შორის ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და საგამოცდო ცენტრით. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მატერიალური რესურსების გამოყენების შესახებ შეთანხმება აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა მატერიალური რესურსები ორ ლოკაციაზე: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც მდებარეობს ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩის 61 ნომერში და გურამიშვილის გამზირის 17 ნომერში.

ინვენტარიზაციის ანგარიშის მიხედვით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 39 025 დაბეჭდილი წიგნია. ამავდროულად, უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკა, შესაბამისი ვებსაიტი და ელექტრონული კატალოგი, სადაც ატვირთულია სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკაში განთავსებულია სახელმძღვანელოები, ლექციების კურსები, რიდერები და სხვა მასალები, როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმატით. არსებული კოლექცია მრავალფეროვანი და რეგულარულად განახლებადია, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ასევე კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია.

ექსპერტთა ჯგუფმა ბიბლიოთეკაში შეამოწმა ოთხივე პროგრამაში შემავალი კურსების სასწავლო რესურსები. კატალოგში რამდენიმე რესურსის პოვნა ვერ მოხერხდა, ან ნაპოვნი იყო მხოლოდ მათი სათაურები და ინფორმაცია რომელიც მიუთითებდა, რომ სილაბუსში ჩამოთვლილი რესურსი ხელმისაწვდომი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პროგრამის განმახორციელებლების განმარტებით, რადგან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეა, ორი ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებს შორის კავშირი ჯერ სრულად არ დასრულებულა.

კლასტერში შემავალი პროგრამების სილაბუსები მოიცავს ლაბორატორიულ სესიებს, კონსულტაციებსა და სემინარებს, რომლებიც ტარდება საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობაში. აკადემიური გრაფიკის დაგეგმვის თვალსაზრისით ეს ქმნის მნიშვნელოვან სირთულეებს.

ამიტომ, რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამებში მითითებული ლაბორატორიებისა და ლექტორების სამუშაო სივრცეების ერთ ადგილას განთავსება.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (აგროინჟინერიის ბაკალავრიატი)**

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

პროგრამა აღჭურვილია ლაბორატორიებით, სასწავლო რესურსებით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და საკლასო ოთახებით, რომლებიც უზრუნველყოფილია ჭკვიანი დაფებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით.

პროგრამა თავის კურსებში მოიცავს ლაბორატორიულ სესიებსაც. მაგალითად, მასალების სიმტკიცის კურსის სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილად მითითებულია მ. კოსტავას ქუჩა 68, I კორპუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ლაბორატორიაც ამ მისამართზე მდებარეობს. სილაბუსები ასევე მიუთითებენ, რომ ლაბორატორიული სესიები ტარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის ბაკალავრიატი)**

პროგრამა აღჭურვილია ლაბორატორიებით, სასწავლო რესურსებით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და საკლასო ოთახებით, რომლებიც უზრუნველყოფილია ჭკვიანი დაფებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით.

პროგრამა თავის კურსებში მოიცავს ლაბორატორიულ სესიებსაც. მაგალითად, სამრეწველო კანალიზაციის კონტროლისა და გაწმენდის კურსისთვის, სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილად მითითებულია მ. კოსტავას ქუჩა 69, მეორე კორპუსი, საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტი, თბილისი. სილაბუსები ასევე მიუთითებენ, რომ ლაბორატორიული სესიები ტარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერიის ბაკალავრიატი)**

პროგრამა აღჭურვილია ლაბორატორიებით, სასწავლო რესურსებით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და საკლასო ოთახებით, რომლებიც უზრუნველყოფილია ჭკვიანი დაფებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით.

პროგრამა თავის კურსებში მოიცავს ლაბორატორიულ სესიებსაც. მაგალითად, კურსისთვის „საინჟინრო გრაფიკა და შესავალი დიზაინში“, სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილად მითითებულია მ. კოსტავას ქუჩა 68, I კორპუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. სილაბუსები ასევე მიუთითებენ, რომ ლაბორატორიული სესიები ტარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერიის მაგისტრატურა)**

პროგრამა აღჭურვილია ლაბორატორიებით, სასწავლო რესურსებით, კომპიუტერული ლაბორატორიებითა და საკლასო ოთახებით, რომლებიც უზრუნველყოფილია ჭკვიანი დაფებითა და სხვა საჭირო აღჭურვილობით.

პროგრამა თავის კურსებში მოიცავს ლაბორატორიულ სესიებსაც. მაგალითად, გარემოსდაცვითი ინჟინერიის ლაბორატორიული სამუშაოების კურსისთვის, სილაბუსის ავტორის სამუშაო ადგილად მითითებულია მ. კოსტავას ქუჩა 69, I კორპუსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. სილაბუსები ასევე მიუთითებენ, რომ ლაბორატორიული სესიები ტარდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ვიზუალური დათვალიერება;
- კომპიუტერული ლაბორატორიები/ საკლასო ოთახები.
- შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- შესაბამისი შეთანხმებები/კონტრაქტები

| | | |
|---|---|---|
| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | **რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები** | რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამებში მითითებული ლაბორატორიებისა და ლექტორების სამუშაო სივრცეების ერთ ადგილას განთავსება. | |
| **პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური) | | |
| **პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური) | | |
| **პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური) | | |
| **პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური) | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| კომპონენტი 4.4. მატერიალური რესურსი | შეფასება |
|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| პროგრამა 3 (დასახელება, დონე) | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |
| პროგრამა 4 (დასახელება, დონე) | ნაწილობრივ შესაბამისობაშია |

## 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- უსდ-ის/ ფაკულტეტის/ სკოლის/ პროგრამის ბიუჯეტი უზრუნველყოფს დოქტორანტებისთვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელების მხარდაჭერისა და დაფინანსების მექანიზმებს.
- უსდ - ის/ ფაკულტეტის/ სკოლის/ პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/ მექანიზმებს აკადემიური და/ ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევის განხორციელების ხელშესაწყობად, მათ შორის,
- საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებად ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის, სამეცნიერო მივლინებებისა და კვლევითი/ შემოქმედებითი პროექტების, მონოგრაფიების გამოქვეყნებისა და სხვა კვლევითი, შემოქმედებითი/ შემსრულებლობითი აქტივობების დაფინანსების ჩათვლით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის უსდ- ის/ ფაკულტეტის/ სკოლის/ პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო- კვლევითი/ მხატვრული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი კვლევისთვის გარე დაფინანსების წყაროების მიებას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებული უმაღლესი განათლების სისტემის მიმდინარე ტრანსფორმაციის ფარგლებში, კლასტერში შემავალი პროგრამების დაფინანსების სისტემა მთლიანად იცვლება, კერძოდ, სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განხორციელებული ყველა პროგრამა სრულად დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ. უნივერსიტეტისა და თითოეული პროგრამის ბიუჯეტი არ იქნება დამოკიდებული სტუდენტების მიერ გადახდილ სწავლის საფასურზე. კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ძვირადღირებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შორისაა, რომლებიც მოითხოვენ ლაბორატორიების, აღჭურვილობისა და

ობიექტების მოვლა-პატრონობის/შეძენის/განახლების ხარჯებს. 2026- 2027 სასწავლო წელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში მხოლოდ პირველი კურსის სტუდენტები ისწავლიან, ხოლო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამებზე ჩარიცხული უფროსი კურსის სტუდენტები სწავლას გააგრძელებენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა (GTU) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და თანამშრომლებს უფლება ექნებათ ისარგებლონ თბილისში, დ. გურამიშვილის ქუჩა #17- ში მდებარე სტუ- ს აკადემიური შენობის მატერიალურ- ტექნიკური ბაზით, სადაც ისინი ერთობლივად განახორციელებენ კვლევით და სხვა სახის აკადემიურ საქმიანობას. ზემოაღნიშნული მემორანდუმი მხარეებს არ აკისრებს რაიმე პირდაპირ ფინანსურ ვალდებულებებს. როდესაც კონკრეტული პროექტის ან კვლევის მასშტაბი მოითხოვს ხარჯების გაწევას (მაგალითად, სახარჯი მასალები, აღჭურვილობა და ა.შ.), მხარეები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ხელს მოაწერენ დამატებით წერილობით შეთანხმებას, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი ხარჯთაღრიცხვა და დაფინანსების წყაროები.

დაწესებულებამ წარმოადგინა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ტექნოლოგიისა და ფარმაციის ფაკულტეტის 2026/2027 წლების ბიუჯეტი. ფაკულტეტის ბიუჯეტი გათვლილია ფაკულტეტის 1070 სტუდენტზე და აღწერს პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. თითოეული პროგრამისთვის ცალკე ბიუჯეტი არ არის წარმოდგენილი.

სსუ - ს ადმინისტრაციასთან გამართულმა ინტერვიუსას გამოვლინდა, რომ რეფორმის ფარგლებში, მათ სთხოვეს ბიუჯეტში მხოლოდ იმ ხარჯების ჩვენება, რაც საჭირო იყო პროგრამის განსახორციელებლად. მთავრობა შეიმუშავებს ალგორითმს, თუ როგორ დააფინანსოს პროგრამები. ამ პროგრამების ხარჯები დაწესებულებას უკვე ასახული აქვს ფაკულტეტის მიმდინარე ბიუჯეტში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი, სხვა ხარჯებთან ერთად, ასევე მოიცავს კვლევის ხარჯებს, რაც ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის, საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევის მხარდაჭერას. სადოქტორო კვლევასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს ექნება ცალკე მიდგომა და მას ცალკე დააფინანსებს. მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სსუ-ში იქმნება ახალი ფაკულტეტი (უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო, თუმცა ახალი წესდება ჯერ არ არის დამტკიცებული). ახალი ფაკულტეტი გააერთიანებს კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს, ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გადმოტანილ სხვა პროგრამებს. ახალი ფაკულტეტისთვის მომზადდება ახალი ბიუჯეტი (ცალკე ხარჯები), რომელშიც ხარჯები თითოეული პროგრამისთვის ცალ - ცალკე იქნება განსაზღვრული. დაფინანსება პროგრამის საჭიროებებზე იქნება მიბმული და გამოიყოფა მათი მდგრადობისთვის საჭირო თანხები.

სსუ - ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან, თანდართული დოკუმენტებიდან და ადგილზე ჩატარებული გასაუბრებებიდან შეგროვებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან სსუ- ში

გადმოტანის პროცესი მიმდინარეა და პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დეტალები ჯერ კიდევ საჭიროებს დაზუსტებას. შესაბამისად, კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის უნდა შემუშავდეს დეტალური და თემატური მიზნობრივი ბიუჯეტი.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი)

იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

| | | |
|---|---|---|
| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | **რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |

| | | |
|---|---|---|
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები | რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილი თითოეული პროგრამისთვის შემუშავდეს დეტალური და თემატურად მიზნობრივი ბიუჯეტი. | |
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| **პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერია,** საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |

### შეფასება

| **კომპონენტი** 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი) | მეტწილად შესაბამისობაშია |

| | |
|---|---|
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა) | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის, რესურსებისა და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება უსდ- ს საქმიანობისა და სადოქტორო პროგრამის გასაუმჯობესებლად.
- პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის საქმიანობა ფასდება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამისა და კვლევითი გარემოს გასაუმჯობესებლად, რეგულარულად იყენებს განმავითარებელ რეცენზირებას;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, მისი განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (დოქტორანტი, კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და ა.შ.).

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

#### კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები რეგულირდება დოკუმენტით „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2012 წლის 20 აპრილს. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, რომ უნივერსიტეტმა დაამკვიდრა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლება- სწავლის პროცესების, კვლევითი საქმიანობისა და ინსტიტუციური რესურსების ხარისხის გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ინტეგრირებულია უნივერსიტეტის მართვის პროცესში და დაკავშირებულია დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და ოპერაციულ პოლიტიკასთან.

სწავლების ხარისხისა და პროგრამების განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების შესახებ არსებული რეგულაციები აღწერენ საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროცესების, სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის შეფასების მექანიზმებს. ეს მექანიზმები მოიცავს თვითშეფასების კომპონენტს, ასევე გამოკითხვებს, კითხვარებს და გარე შეფასებებს. ამავდროულად, გათვალისწინებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პროგრამის განვითარების პროცესში და მათი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების კვლევა.

ზოგადად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. პროგრამის განვითარების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან ერთად, ასევე ჩართულნი არიან სხვა დაინტერესებული მხარეები, როგორებიცაა პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სსუ) არსებული წესებისა და პრაქტიკის თანახმად, პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების ჩატარებაში თანამშრომლობენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, როგორც უნივერსიტეტის, ასევე, ფაკულტეტის დონეზე, და იყენებენ ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამების გასაუმჯობესებლად.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და მასში ჩანერგილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. PDCA ციკლის ფარგლებში, პირველი ეტაპი მოიცავს შეფასების პროცესების დაგეგმვას, შეფასების კრიტერიუმების, ინდიკატორების და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრას. შემდეგი ეტაპი ფოკუსირებულია დაგეგმილი აქტივობების განხორციელებაზე, მათ შორის პროგრამის შეფასებაზე, სწავლება - სწავლის პროცესის მონიტორინგზე და სხვადასხვა გამოკითხვისა და კვლევის ჩატარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტების

აკადემიური მოსწრების ანალიზს, რაც წარმოადგენს სწავლება - სწავლის პროცესის ეფექტურობის ერთ - ერთ მთავარ ინდიკატორს. შემოწმებისა და ანალიზის ეტაპზე, უნივერსიტეტი აფასებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს პრობლემურ საკითხებს და აანალიზებს მათ გამომწვევ მიზეზებს.

ზემოთხსენებული პროცესის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლება - სწავლის პროცესის გაუმჯობესებას. ეს რეკომენდაციები, შემდგომი განხილვისა და განვითარების აქტივობების დაგეგმვის მიზნით, წარედგინება აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოებს. უნივერსიტეტი შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს (https://www.sou.edu.ge/content/2/65/0/0/0). ასევე, განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის ყველა სეგმენტისთვის ეწევა საკონსულტაციო აქტივობას, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შემდეგნაირად ფუნქციონირებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართულია საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ყველა ეტაპზე, რაც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, ინსპექტირებას (უწყვეტი შეფასება, შედეგების ანალიზი) და განვითარებას. ზოგადად, საგანმანათლებლო პროცესების შეფასება ხორციელდება რეგულარულად და გულისხმობს თვითშეფასების პროცესით გამოვლენილი კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მექანიზმების შემუშავებას. ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ პროგრამის პერსონალი პროგრამების განხორციელების ეტაპზე თანამშრომლობს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის დონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების მიერ გარდამავალი და განხორციელების პროცესების მხარდასაჭერად, ადმინისტრაციულ დონეზე ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა როგორც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ ნაწილობრივ გამოყენებული იქნა არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურები. დაწყებული რეფორმების ფარგლებში, კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან გადაეცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ მათ ჯერ არ ჰქონდათ საკმარისი დრო, სრულად გაცნობოდნენ უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებს, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის დაგეგმვასთან, შეფასებასთან,

განვითარების პროცესებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან და პასუხისმგებლობებთან. ინტერვიუს მონაწილეთა თქმით, ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეზღუდულ დროში სწრაფი გადასვლის პროცესთან. ინტეგრაციის პროცესში, პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, თუმცა ეს შეხვედრები ძირითადად დაეთმო ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საკითხებს. ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა ადმინისტრაციული, მატერიალური, ფინანსური, ადამიანური და ორგანიზაციული რესურსების სსუ - ს მართვაში გადაცემაზე. გარკვეული ადმინისტრაციული საკითხები ამჟამად დაზუსტებისა და დამტკიცების პროცესშია. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის პროგრამების დაგეგმვასთან, შეფასებასთან, მონიტორინგთან და განვითარებასთან დაკავშირებული თანამშრომლობითი პროცესების დამყარება სისტემატური სამუშაო შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესამუშავებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად მართავდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ანგარიშზე თანდართული დოკუმენტები (მათ შორის მემორანდუმები და სხვა დამხმარე მასალები) წარმოდგენილი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელით და მომზადდა მისი ინსტიტუციური შაბლონების გამოყენებით. რეკომენდებულია, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია განაახლოს, უნივერსიტეტის სახელისა და სტატუსის გათვალისწინებით.

თვითშეფასების ჯგუფის თითოეულმა წევრმა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას იზრუნა გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირებაზე. მიუხედავად ამისა, გასაუმჯობესებელი სფეროები და გარკვეული გამოწვევები კვლავ რჩება (დეტალები იხილეთ 1- 4 სტანდარტების თხრობით ნაწილებში). რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფარგლებში, პროგრამების შინაარსის, სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო არსებული რესურსების შეფასებისას, უნივერსიტეტმა დანერგოს ხარვეზების გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმი.

ელექტრონული/ დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა მიიღო სასწავლო პროცესის სპეციალური რეგულაციები (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01-608; 24. 03. 2020წ.) რათა უზრუნველყოფილიყო შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია დისტანციური/ ჰიბრიდული სწავლების პროცესთან.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი)

იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ დოქტორანტურის დონის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, რომლისთვისაც გაიცა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.sou.edu.ge/home;
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დისტანციური/ ელექტრონული სწავლების პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 608; 24. 03. 2020წ.);
- სტუდენტებისა და პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;

- მონათესავე პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვების ანალიზი,
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები მონათესავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები | რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაასრულოს პროგრამული დოკუმენტაციის მოწესრიგება და ფორმალური დამტკიცება ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში და გააძლიეროს თვითშეფასების პროცესი, რომ სისტემატურად იქნას გამოვლენილი, გაანალიზებული და აღმოფხვრილი პროგრამის შინაარსთან, სასწავლო რესურსებთან, საკადრო პოლიტიკასთან, ინფრასტრუქტურასთან და განხორციელების მექანიზმებთან დაკავშირებული ხარვეზები.<br><br>რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წარმოადგინოს მკაფიო მტკიცებულებები, თუ როგორ უწყობს ხელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეთანხმებული თანამშრომლობის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ და მდგრად გადაცემას და განხორციელებას. | სასურველია, რომ უნივერსიტეტმა კლასტერულ პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის გაიმართოს სისტემატური სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები და სასწავლო აქტივობები, რათა ინსტიტუციური რეგულაციებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების გაცნობის ხელშეწყობით და პროგრამის დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესების პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერით, უსდ-ში განმტკიცდეს ხარისხის კულტურა. |

| | | |
|---|---|---|
| | რეკომენდებულია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განაახლოს პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, უნივერსიტეტის სახელწოდების მითითებით და ოფიციალური ფორმატის გამოყენებით. | |
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი) | | |
| **პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)** | | |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი) | | |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა) | | |

**შეფასება**

- გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| **კომპონენტი** 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1** ( აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ დებულებას" და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ დებულებას".

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი პერიოდულად წარუდგენს ინფორმაციას თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ საჯარო სამართლის იურიდიული პირს - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, თვითშეფასების ანგარიშის სახით, დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ექსპერტების მიერ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს მოწოდებულ რეკომენდაციებს და შეაქვს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში წინა აკრედიტაციის პროცესის დროს, შეფასდა ადგილობრივი და უცხოელი გარე ექსპერტების მიერ. კერძოდ:

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამის სახით, **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი), აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებული იქნა 2021 წელს (MES 3 21 0000559592; 11/06/2021წ.).
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამის სახით, **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი), აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებული იქნა 2021 წელს (MES 3 21 0000616039; 22/06/2021წ.).
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამის სახით, **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი), აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებული იქნა 2019 წელს (#50; 26/02/2019წ.).

- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში განხორციელებული პროგრამის სახით, **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა), აკრედიტაციის საბჭოს მიერ აკრედიტებული იქნა 2021 წელს (MES 5 21 0000616040 22/06/2021წ.).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე შეფასების მექანიზმები ასევე მოიცავს ურთიერთშეფასებას და დაინტერესებული მხარეების, მათ შორის პარტნიორი ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების უკუკავშირს, სხვადასხვა გამოკითხვის ინსტრუმენტებისა და კონსულტაციის პროცესების მეშვეობით. ზოგადად, პროგრამებს აფასებენ დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი, ხოლო ამ გარე შეფასებების შედეგებისა და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინება ხდება პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დებულების „სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმების" შესაბამისად, პროგრამების გარე კოლეგიალურ, განმავითარებელ რეცენზირებას ატარებენ ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები. გარდა ამისა, გათვალისწინებულია, ინდუსტრიის პროფესიონალების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების, მაგალითად, კურსდამთავრებულების, გამოკითხვის შედეგები. ასევე, გათვალისწინებულია დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგები.

პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ წარუდგენია დარგის ექსპერტებისათვის, გარე რეცენზირების მიზნით.

**რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მიერ სისტემატური კოლეგიალური განმავითარებელი გარე შეფასებების ჩატარება.**

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი)

იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები;
- მონათესავე პროგრამების კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვების ანალიზი,
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები მონათესავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება კლასტერში წარმოდგენილი პროგრამებისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების ანგარიშები წინა აკრედიტაციის დროს;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

| | | |
|---|---|---|
| **რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** | **რეკომენდაციები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | **რჩევები:** გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები** | რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა რეგულარულად ჩაატაროს განვითარებაზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი | |

| | | |
|---|---|---|
| | ექსპერტების გარე კოლეგიალური შეფასება. | |
| პროგრამა 1 (აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| პროგრამა 2 (გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| პროგრამა 3 (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| პროგრამა 4 (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| **კომპონენტი 5.2. გარე ხარისხის შეფასება** | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

**აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად მონიტორინგს უტარებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და განხორციელების ხარისხს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის ხდება შესაბამისი რეკომენდაციების, შესაძლო ცვლილებების წინადადებებისა და დასკვნების შემუშავება. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის, სახელმძღვანელოებსა და სხვა სასწავლო მასალებს ფიზიკური მდგომარეობის, რაოდენობისა და სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კითხვარების მეშვეობით ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რათა მიიღოს უკუკავშირი ყველა დაინტერესებული მხარისაგან და უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების ხარისხი. სამსახური ასევე აანალიზებს კოლეგიალური საკლასო დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს. ასევე, იგი აანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს და ადარებს არსებულ პროგრამებს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს. ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, პროგრამის პერსონალს სთავაზობს რეკომენდაციებსა და რჩევებს.

ექსპერტთა ჯგუფმა, პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ეფექტურობასა და ყოვლისმომცველობასთან დაკავშირებით, გამოავლინა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შეფასების მექანიზმის მეშვეობით გროვდება მნიშვნელოვანი ინფორმაცია, შედეგები და ანალიტიკური დასკვნები ჯერ კიდევ არ არის სისტემატურად ან სრულად ასახული პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესი არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (აგროინჟინერია, ბაკალავრიატი)

იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, ბაკალავრიატი)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, მაგისტრატურა)
იხილეთ კლასტერის აღწერა და ანალიზი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #05/01 - 20, 20.04.2012წ.);
- სამაგისტრო პროგრამების დამტკიცების, დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების მეთოდოლოგია
- სასწავლო პროცესის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://www.sou.edu.ge/home;

- შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დისტანციური/ ელექტრონული სწავლების პროცესის რეგულაციები (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 608; 24. 03. 2020);
- სტუდენტებისა და პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმები;
- მონათესავე პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პერსონალის გამოკითხვების ანალიზი,
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აკადემიურ/ მოწვეულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან;
- ინტერვიუები მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

| რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: | რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) | რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|
| კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/ რჩევები | რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი, არსებული მონიტორინგის მექანიზმების სრული სპექტრის გამოყენებით. | |
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |

| | | |
|---|---|---|
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა) | | |

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა კომპონენტთან

| **კომპონენტი** 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | **შეფასება** |
|---|---|
| **პროგრამა 1** (აგროინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 2** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 3** (ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) | მეტწილად შესაბამისობაშია |
| **პროგრამა 4** (გარემოსდაცვითი ინჟინერია, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ) | მეტწილად შესაბამისობაშია |